საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვუტი სიფცვაა, ფცუიოებით და ჯოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 13 სექტემბერი. 2016 წ. №170 (8062), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქუთაისში დიდი განათლების მზე ამოდის!

საქართველოს შუაგულში, კავკასიის რეგიონში უდიდესი, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ლაბორატორიებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა იწყება. ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქისა და თბილისში განლაგებული ტექნოლოგიური ცენტრის საერთო ბიუჯეტი, ამ ეტაპზე, 1 მილიარდ ევროს შეადგენს და მას სრულად აფინანსებს ფონდი „ქართუ“.

ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის პროექტის პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით მიმართა ღონისძიების მონაწილეებს და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ქუთაისის არჩევა ახალი საუნივერსიტეტო ქალაქის ადგილად, არ არის შემთხვევითი, რადგან საუკუნეების წინათ სწორედ ქუთაისში ფუნქციონირებდა უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ცენტრი — გელათის აკადემია.

დღეს 12 სექტემბერია და შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღე და პატივი არ მივაგოთ მის უკვდავ სულს. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, „მეცნიერება და განათლება უნდა იყოს ქართველი კაცის თოფიარაღი“. და დღეს ჩვენი შეხვედრაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. დღეს საძირკველი ეყრება საქართველოში ეპოქალური მნიშვნელობის პროექტს. აქ, ქუთაისში, ფუძნდება უდიდესი და ყველაზე თანამედროვე საგანმანათლებლო ცენტრი, აშენდება საუნივერსიტეტო ქალაქი, რომელიც უპრეცედენტო საგანმანათლებლო ცენტრი იქნება მთელ ჩვენს რეგიონში. ქუთაისის არჩევა ახალი საუნივერსიტეტო ქალაქის ადგილად არ არის შემთხვევითი. ქუთაისია ის ქალაქი, სადაც საუკუნეების წინათ არსებობდა გელათის აკადემია, რომელმაც იმ ეპოქაში თავის თავზე იტვირთა უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია“.

პრემიერის განმარტებით, ქუთაისისთვის ისტორიული საგანმანათლებლო კერის ფუნქციის დაბრუნების იდეა ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის, რომელმაც საზოგადოებას მოსაზრება პირველად 2011 წელს გაუზიარა, როდესაც თავისი „პირველი წერილი“ გამოაქვეყნა, თუმცა თავად იდეა ბევრად უფრო ადრე გაჩნდა.

„დღეს ჩვენ იმის მოწმე ვართ, რომ ოცნება რეალობად იქცა და ბევრი ქვეყნისთვის მართლაც მიუწვდომელი პროექტი საქართველოში იწყებს ხორცშესხმას. მადლობა მინდა, ვუთხრა ბატონ ბიძინას ამისთვის. ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი, და ამას ყველა ერთხმად აღნიშნავს. ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც გზის გახსნა და თანამედროვე ცოდნის მიცემა სჭირდება. უნივერსიტეტის არსებობა შეუნარჩუნებს ქვეყანას ინტელექტუალურ რესურსს და კიდევ უფრო მეტი განვითარების საშუალებას მისცემს მათ. დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს უნივერსიტეტი იქნება ის საგანმანათლებლო ბაზა, რომელიც მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებსა და მეცნიერებს გამოუშვებს. ეს იქნება ის ხალხი და ის თაობები, რომლებიც გარღვევას მოახდენენ ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და განვითარებაში,“ — აღნიშნა პრემიერმა.

60 000 სტუდენტზე გათვლილი საუნივერსიტეტო ქალაქი 140 ჰექტარზე გაშენდება, შენობების საერთო ფართობი კი 1 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება.

კომპლექსი 1 მილიარდი ევრო დაჯდება. მშენებლობის დროს გამოიყენებენ მაღალ ეკოლოგიურ სტანდარტებს, განახლებადი ენერგიების სისტემებს, „მწვანე ტექნოლოგიებს“ და ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რომ მშენებლობის ადგილზე არსებული ბუნება სრულად იქნეს შენარჩუნებული.

„ჰეროკრატია“- წინსვლის მწარე გაკვეთილი!

რეჟისორ გიორგი ხაინდრავას ფილმი „ჰეროკრატია“ დაკვირვებულ და გონებაგანათებული ქართველი მაყურებლის თვალში თავისებური ნიურნბერგის პროცესია მავნებელი ნაციონალების თითქმის ათწლიანი ნეოფაშისტური ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის.

ვინც უკუღმართად ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ წინასაარჩევნო პოლიტიკური ილეთია, ის ნამდვილად თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში ცხოვრების ღირსი არ არის.

ვინ და როდის წაართვა ჭეშმარიტ ხელოვნებას ყოველგვარი უკეთურების მწარედ მხილების და სამართლიანობის აღდგენისთვის თავგადადებული ბრძოლის დიადი უფლება?!

განა კაცობრიობის გასართობად შექმნა რეჟისორმა რომმა გენიალური „ჩვეულებრივი ფაშიზმი?!“

არა და არა! ეს მარადიული სახალხო განაჩენია ყველაზე თანამედროვე მოჰიტლერო, მომუსოლინო, მოფრანკო, მოსალაზარო ნეოფაშისტებისთვის, რომელთა სტრატეგიის მთავარი მიზანი ის არის, რომ საზოგადოების პოლიტიკურად მერყევი ნაწილისთვის შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამჟამინდელი საპარლამენტო მთავრობები უუნაროები, უნიათოები არიან, არ შეუძლიათ საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა და ამ ხალხის დამაბნეველი გზით ისინი, ქართველი ნეოფაშისტები, ახალი კეთილი დაპირებებით შენიღბული, დაუღალავად ცდილობენ, რომ ზომიერად კონსერვატიული ამომრჩევლები როგორმე საგულდაგულოდ ჩაახუტონ „ლეგალურ“ ნეოფაშისტებს.

აი, რა მავნე მიზანი ამოქმედებთ ათგზის დამნაშავე ნაციონალებს, რომლებიც, საცა წესი და რიგია, სულაც არ უნდა დაეშვათ არჩევნებზე, მაგრამ ვაი, რომ ჯერჯერობით სწორედ ეს წესი და რიგი ვერ შევქმენით ქვეყანაში და ამაზეა ნათქვამი, შენი სიმამაცე ჩემი სიბეჩავის ბრალიაო.

ასე რომ, „ჰეროკრატია“ პანღური ვერა, მაგრამ გვარიანი პოლიტიკური გალაწუნებაა ხელისუფლების ისევ ხელში ჩასაგდებად ატეხილ-ატროკებული ნაციონალებისთვის, რომელთა შტაბიც ოდესაშია და „ჩქიმი“ სანდრა გადაცმული მიშაა!

მაშ, გააზრებულად ვუყუროთ „ჰეროკრატიას“, ამ „ქართული ჩვეულებრიფი ფაშიზმის“ ნიშანდობლივად მამხილებელ ფილმს და რაც აშკარად მავნებელმა ნაციონალებმა თითქმის ათი წელიწადი მწარედ გვაწვნევინეს, ის სიმწარე ქვეყნის სამომავლო წინსვლის ნამდვილ გაკვეთილად გავიხადოთ!

მაგთიკომი
MAGTICOM

თუ გაქვთ მაგთის ინტერნეტი, ტელევიზია ან მობილური...

4

ნაცმოძრაობა - კოლექტიური „პარტიზანი“ ნატა ფერაძე

უსაზღვროდ უტიფართა და პანდორას ყუთის - „ცრუსთავი-2“-ის მორიგი ცილისწამება-გესლნთხევა

3

ბიძინა ივანიშვილი:

ჩემი ქონების 97 პროცენტს საქართველოს ვახმარ!

მზე ალორძინების სიმბოლოა!

„მაგარი მზე იყო მაშინაც ,როცა ის ცენტრი დავაფუძნეთ და ახლაც მზეა,“ – ამბობს ბიძინა ივანიშვილი სამეცნიერო ცენტრის დაფუძნების საკითხზე საუბრისას.

მის თქმით, გელათის აკადემია იყო ქუთაისში და ამ ქალაქმა უნდა დაიბრუნოს ეს საგანმანათლებლო დანიშნულება.

„ქუთაისი ინდუსტრიული ქალაქიც იყო და ქუთაისმა რომ დაიბრუნოს თავის ისტორიული მნიშვნელობა, ამაზე დიდი გეგმა აქვს მთავრობას და მეც ჩავერთვები,“ – აცხადებს ივანიშვილი.

ექსპრემიერი გუშინ ქუთაისში რეგიონული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

2030 წელი ტყუილად არ ავირჩიე

ბიძინა ივანიშვილი განვლილი ოთხი წლის ყველაზე მთავარ მიღწევად ინსტიტუციონალიზაციას მიიჩნევს. ივანიშვილის თქმით, მანამდე ერთი კაცი მართავდა ქვეყანას, ახლა კი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო უწყებები დაყოფილია, თუმცა ამასაც გაღრმავება და დახვეწა სჭირდება.

„ხალხს წართმეული უფლებები დაუბრუნდა და ხალხის უფლებებზე უნდა იყოს მორგებული ქვეყანა. სახელმწიფო ფასდება იმით, რამდენად თავისუფალია ადამიანი და რამდენად დაცულია მისი უფლებები დღეს. ილიას მკვლელობიდან 109-ე წლისთავია და მოგეხსენებათ, ილიაც ამაზე ძალიან ბევრს წერდა და იბრძოდა, რომ სახელმწიფო ხალხს უნდა ემსახურებოდეს, ხალხის სამსახურში უნდა იყოს და არა პირიქით. ერთი კაცის სამსახურში იყო მთელი სახელმწიფო, ამ ერთ კაცს ემსახურებოდა ყველა, ამ ერთ პატარა ჯგუფს, რომელიც დღესაც ბობოქრობს და ოცნებობს დაბრუნებაზე. დღეს გყავთ ხელისუფლება, რომელიც ხალხის სამსახურშია. რეფორმები უნდა გაგრძელდეს, დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა გამყარდეს. დღეს ძალიან მოწყვლადია ინსტიტუტები. კიდევ სჭირდება რამდენიმე წელიწადი, რამდენიმე ოთხწლეულიც კი. 2030 წელი ტყუილად არ ავირჩიე, თუ გავაგრძელებთ რეფორმებს, ჩვენ გვექნება მყარი, დემოკრატიული ინსტიტუტები, გვექნება ევროპული ტიპის ეკონომიკა და ვიცხოვრებთ ევროპელების მსგავსად, ღირსეულად საკუთარ ქვეყანაში“...

პაატა ბურჭულაძეს ფული რომ არ მივეცი, ნაწყენი იყო!

...ამაზე ბუნებრივი გაერთიანება მე ვერც კი წარმომიდგენია, რომ არ დაგიმალოთ. რანაირად შეიძლება კუბლაშვილი და ვაშაძის გაერთიანება იყოს არაბუნებრივი და კაციტაძისაც. თუ თქვენ გახსოვთ, გამყრელიძემ პოლიტიკა მხოლოდ იმ ნიშნით დატოვა, რომ ლამის მთელმა საზოგადოებამ გაიგო, რომ „ახალი მემარჯვენეები“ იყვნენ ფსევდოოპოზიციური და ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენელი ნაწილი. დღეს ასეთი ერთადერთი დარჩა „ლეიბორისტული პარტია“. დანარჩენებიც – ქდმ ჩაიშალა, ნათელაშვილს არსად ჰქონდა წასასვლელი, იმიტომ, რომ მაგაზე უამრავი კომპრომატი აქვთ და დღესაც ამუშავებენ „ნაცები“. კაციტაძე იყო ჩვეულებრივად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. მეტი ბუნებრივი გაერთიანება რა შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთი ჩახლართული სიტუაციები და ასეთი ხელწერა გახლავთ სააკაშვილისა... ის ყოველთვის ცდილობდა საზოგადოების მოტყუებას. მადლობა ღმერთს, რომ ეს კარგად გაირკვა, – განაცხადა ივანიშვილმა.

გაიხსენეთ ბურჭულაძის პირველივე განცხადებები, ნახეთ, სააკაშვილთან უკრაინაში რამდენჯერ ჩასულა, იქ დადის ძირითადად ეს კაცი. ფოტოები გამოქვეყნდა, ჩახუტებული სააკაშვილთან. მე სამი წელია, ეს კაცი არ მინახავს. ნაწყენი ვიყავი იმიტომ, რომ თავის დროზე როცა ვთხოვე, გვერდით დაგვიდექი, უამრავი ფული მოითხოვა და, უარი რომ ვუთხარი, შეურაცხყოფილი იყო. ამის შემდეგ 3 წლის განმავლობაში 60 წლისთავი სამჯერ გადაიხადა და არც ერთხელ არ მივსულვარ.

„მიტინგის ეშინოდა ამ უბედურს, ეს იყო პარლამენტის ქუთაისში გადმოტანის მიზეზი...

პარლამენტის თბილისში გადატანასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში არსებობა ძალიან დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული და დეპუტატებიც უამრავ დროს გზაში ხარჯავენ.

„მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოში მსგავსი რამ არ ხდება. სააკაშვილმა მოინდომა და რომ ვკითხე, რას აკეთებ, რაში გჭირდება-მეთქი, დემონსტრაციას ვერსად გამართავენო. მიტინგის ეშინოდა ამ უბედურს. ეს იყო თურმე ძირითადი მიზეზი პარლამენტის ქუთაისში გადმოტანის.

ქუთაისელები ამას საწყენად ნუ მიიღებენ, მაგრამ ძალიან არაეფექტურია ეს. თუ გინდათ ეფექტური ხელისუფლება გყავდეთ, მათ მეტი დრო უნდა ჰქონდეთ იმისთვის, რომ თავისი საქმე აკეთონ და დღეში 6 საათი არ იყვნენ გზაში.უამრავი ავარია მოხდა, უამრავი ტრანსპორტი იმტვრევა, უამრავი საწვავი იხარჯება. ეს ყველაფერი ღირს ფული და მიდის ბიუჯეტიდან“... – განაცხადა ივანიშვილმა.

რუსეთში ქონება გავყიდე, ჩემი ქონების 97 პროცენტს საქართველოს ვახმარ!

ჩემი ქონების 97%-ს საქართველოს ვახმარ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ქუთაისში ჟურნალისტებთან საუბრისას.

„რუსეთში დიდი ხანია, გავყიდე ყველაფერი. საქართველოში ბიზნესი არ მაქვს, სამწუხაროდ. ჩემი ხარჯების 99 პროცენტიდან, ბოლო 20 წელი , რასაც ვხარჯავ იქიდან 2 % თუ მიდის ოჯახის ხარჯებზე დანარჩენს ვახმარ ჩემს ქვეყანას,“ – თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

ბაქრაძეს მთელი საათი „ვაწვებოდი“, პარტიიდან გამოდი-მეთქი

ბიძინა ივანიშვილის თქმით, ერთადერთი ვისაც „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებას სთხოვდა დავით ბაქრაძე იყო.

„ბაქრაძეზე ყველაზე მეტი მცდელობები მქონდა. სტრასბურგში შევხვდი და მთელი საათი ვაწვებოდი, ადექი წამოდი და გამოდი-მეთქი,“ – აცხადებს ივანიშვილი. მისი თქმით, სწორედ ამის შემდეგ მას უსუფაშვილმა შეატყობინა, რომ კუბლაშვილი გავიდა პარტიიდან. თუმცა მას შემდეგ,.რაც კუბლაშვილი ვაშაძესთან და ბურჭულაძესთან გაერთიანდა, მიხვდა, რომ „რაღაც ტრიუკი იყო“.

„მაგათ რა უნდათ? სხვა მინდვრიდან აიღონ ხმები? ყველანი იქ არიან „მიშა მაგარიც კი იქა ჰყავთ“, – ივანიშვილი ბურჭულაძეს და გირჩსაც აკრიტიკებს.

უსუფაშვილი პატარა კაცია...

როცა უსუფაშვილი ამბობს, გაჩუმდეს, თორემ მეც ავლაპარაკდებიო, ილაპარაკოს რამდენიც უნდა.

„საერთოდ კაცი რომ ამბობს, სათქმელი მაქვსო და არ ვამბობო. ეს რა საქციელია? მე არ მაქვს არაფერი, აი „ინსაიდს“, რასაც ეძახიან და რაღაც ქილები იციან „შკაფშიო“, არაფერი მე არ მაქვს, რასაც ვაკეთებ ჩემი გაკეთებულის შემრცხვეს და მომერიდოს, ასეთი არაფერია“.

უსუფაშვილთან პირადი წყენაც არ მაქვს, რადგან ის ძალიან პატარა კაცია და თუ რამე იცის და უმალავდა ხალხს, ურჩევნია გამოვიდეს და თქვას.

დიმიტრი ხუნდაძე ჩემი ფავორიტია!

„ჩოჩელი ყოფილა გუბერნატორი და საერთოდ არ ვიცნობ, ზედმეტი დახასიათება გამომივიდა. რაზეც მძიმე საყვედური მივიღე მცხეთის მაჟორიტარობის კანდიდატიდან დიმიტრი ხუნდაძისგან,“ – საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს დიმიტრი ხუნდაძეს ბოდიშს უხდის. როგორც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, დიმიტრი ხუნდაძე მისი ფავორიტია და გადაცდომა მოუვიდა.

„განმარტება მინდა გავაკეთო. სამეგრელოში ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, რომელშიც კითხვაშივე იყო ცდომილება, როდესაც მან მკითხა, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ წევრებზე, რომლებიც გადმოვიდნენ და „ქართული ოცნების“ წევრები არიან, მათ შორის ოქრიაშვილზე და ცეზარ ჩოჩელზე. სხვათა შორის, გვარებს ცუდად ვიმახსოვრებ, გადაცდომა მომივიდა, ჟურნალისტის გადაცდომას გადავყევი, როდესაც ვთქვი, რომ ისინი მაჟორიტარები გადმოვიდნენ, თავისი თავი თვითონ შექმნეს და ასე შემდგომ. ამ დროს სულ არ ყოფილა ჩოჩელი იმ სიაში, ვინც პარლამენტში იყვნენ. მოგეხსენებათ, დეპუტატების ჯგუფი იყო, ვინც პარლამენტში შევიდნენ „ნაციონალურ მოძრაობის“ დროს და მაშინვე, როგორც კი დამთავრდა არჩევნები, გადმოვიდნენ „ქართული ოცნების“ მხარეს. ჩოჩელი ჟურნალისტის კითხვაშივე ისმოდა, ჩოჩელი არ ყოფილა იმ ჯგუფში, გადაცდომა მომივიდა. ბოდიშიც მოვუხადე, მართლაც შემეშალა. დიმიტრი ხუნდაძე არის ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი მეომარი, რომელიც საოცრად არაორდინალურად ჩაერთო ჩვენს გუნდში. მახსოვს, როდესაც მოვედი პოლიტიკაში, 2011 წელს, დიმიტრი ხუნდაძე გახლდათ ჩემი ოჯახის ექიმი, სხვათა შორის ძალიან კვალიფიციური ექიმია, სამწუხაროდ, ექიმობას ვეღარ ახერხებს და მას რჩევებს ვეკითხებოდი, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

უბლოკო სტატუსი ცოტა ბლეფია!..

„უბლოკო სტატუსი“, მე მგონი, ცოტა ბლეფია“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. მან ნინო ბურჯანაძის შანსებსა და საქართველოს „უბლოკო სტატუსის“ შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ ბურჯანაძის პარლამენტში მოხვედრის შანსი ძალიან დაბალია.

„ჩვენ გვაქვს ჩვენი სტრატეგიული მიმართულება არჩეული, რაშიც არა მარტო „ქართული ოცნება“, არამედ, ჩემი აზრით, მთელი საზოგადოებაა შეთანხმებული, რომ ჩვენი მიმართულება კონკურენციის გარეშე არის ევროპა, ევროკავშირი და ევრო-ატლანტიკური სივრცე.

ქალბატონ ნინოს შანსებს რაც შეეხება, არ მგონია, რომ დიდი შანსები აქვს. რუსეთთან რომ ურთიერთობის დალაგება გვინდა, ამას ჩვენც ვამბობთ. დღესაც შემიძლია გავიმეორო, რომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა დავალაგოთ, მაგრამ არა დაკარგული ტერიტორიების ხარჯზე, რაც წყალგამყოფი შეიძლება გახდეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენ მშვიდობიანად ჩვენს ყველაზე დიდ მეზობელთან დავალაგოთ ურთიერთობები და ამაში ნინო ბურჯანაძე ვერ არის გამორჩეული“.

ალასანიას არ ეყო კაცობა და ვაჭკაცობა და გუნდი შეცდომებს გადააყოლა!

„თუ ადრე რესპუბლიკელებს ვასახელებდი პირველს, ახლა ვასახელებ თავისუფალ დემოკრატებს,“ – აცხადებს ექს-პრემიერი ივანიშვილი პარტიების შეფასებაზე საუბრისას.

მისი თქმით, მას კიდევ ბევრი აქვს საკრიტიკო „რესპუბლიკელებზე“ და აპირებს ამ პარტიაზე საკუთარი აზრის გამოთმას.

„თავისუფალი დემოკრატები მირჩევნია რესპუბლიკელებს. რატომ დემოკრატები? მათზე მე კრიტიკა გამოვთქვი, რომ ალასანიამ დაუშვა ძალიან ბევრი შეცდომა და გუნდის სხვა წევრებმა მას შეცდომები არ გაუსწორეს და მეგობრობას გადაყვნენ,“ – ამბობს ივანიშვილი.

მისი თქმით, როცა ის ალასანიას გუნდის წევრებს ხვდებოდა და კითხვებს უსვამდა, ყველა ალსანიას უყურებდა და ლიდერის გარეშე კითხვებს არ პასუხობდნენ.

„ამ ჯგუფში შეიმჩნეოდა ზედმეტი დომინანტობა ლიდერისა. ალასანიას შეცდომები გუნდმა გაიზიარა და მეგობრობას გადააყოლა, ნაცვლად იმისა, რომ ალსანიას ჰყოფნოდა კაცობა და გუნდი არ გადაეყოლებინა თავის შეცდომებს.

თუმცა, გუნდის წევრებმა მოახერხეს გარდაქმნა. ალასანიას შემდეგ შეცდომებში კი გუნდი აღარ გადაყვა, დაუდგა და მგონი შეცდომები არ დააშვებინეს, ამ მხირივ დემოკრატები ჩემთვის უფრო ჯანსაღად გამოიყურებიან!...“

რეაქცია

პაატა ბურჭულაძე: ისეთი თანხა მოვთხოვე ივანიშვილს, რომ მას ძალიან გაუჭირდა ფულის მოცემა

გაერთიანება „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერმა პაატა ბურჭულაძემ საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას უპასუხა.

– მაინტერესებს, რა თანხაზე იყო ლაპარაკი. ისეთი რა მოვთხოვე, რომ მას ძალიან გაუჭირდა ჩემთვის ფულის მოცემა. თუ ასეა, ესე იგი კარგად ამიწევია ჩემი ფასი. რა უნდა მომეთხოვა მე ისეთი, რომ ბიძინა ივანიშვილს გაუჭირდებოდა. ალბათ, როგორც მეფეებს სთხოვენ, ნახევარი სამეფო მომეცი-მეთქი ვუთხარი, ანუ 3, 5 მილიარდი ეტყობა. როგორ უნდა გიპასუხოთ. სიმართლეს არ შეესაბამება ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი“, – აღნიშნა ბურჭულაძემ.

ხათუნა ლაგაზიძე: ბურჭულაძეს მაინც მოუნევს მოყოლა და იმის დაბრუნება, რაც დასაბრუნებელი აქვს

ხათუნა ლაგაზიძე, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ დატოვა პაატა ბურჭულაძის პარტია „სახელწმიფო ხალხისათვის“, პაატა ბურჭულაძეს მიმართავს.

„თუ ბურჭულაძეს სინდისის ნატამალი მაინც შერჩა, გამოვიდეს „იმედის“ ეთერში და თქვას, რა გავაკეთეთ მე და ჩემმა ოჯახმა პარტიისთვის. მაინც მოუწევს მოყოლა და იმის დაბრუნება, რაც დასაბრუნებელი აქვს“, – წერს ხათუნა ლაგაზიძე.

პაატა ბურჭულაძის პარტია კიდევ 25-მა წევრმა დატოვა

პაატა ბურჭულაძის პარტიის კაჭრეთის ზონის უფროსმა 25 თანაგუნდელთან ერთად გაერთიანება დატოვა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი გახდა. ამის შესახებ განცხადება ხატია ბურდულაძემ გურჯაანის „ქართული ოცნების“ შტაბში, ბრიფინგზე გააკეთა. პარტიიდან წასვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ხათუნა ლაგაზიძის პარტიიდან წასვლა დასახელდა.

ნაცმოძრაობა – კოლექტიური „პარტიზანი“ ნატა ფერაძე

უსაზღვროდ უტიფართა და პანდორას ყუთის – „ცრუსთავი-2“-ის მორიგი ცილისწამება-გესლნთხევა

დიახ, სწორედაც რომ, კოლექტიური ნატა ფერაძე, თანაც ამ უკანასკნელის ჰოლანდიაში ყოფნის, ანუ 2012 წლამდე პერიოდისა.

რატომ ასეთი დაზუსტება-მინიშნებით?

რატომ და, გეხსომებათ, პირდაპირ სატელევიზიო ეთერში ოპონენტის კითხვას – 2012 წლამდე რატომ არ იღებდით ხმას ხეების გაჩეხაზე, რას აკეთებდითო – იმიტომ არ ვიღებდი ხმას, რომ არ მეცალა... ვტყ...ბდიო (ვჩინჩლაობდიო, რა!) უმანკო გამომეტყველებით უპასუხა(?!).

– ჰო, მართლა არ მეცალა, ჰოლანდიაში ვიყავი და ვტყ...ბდიო – მეტი დამავჯერებლობა-სიცხადისთვის უფრო დააზუსტა რამდენიმე წამის მერე.

ვაი, ჩვენს პატრონს! „ტყეში“ გავარდნილი უსირცხვილო „პარტიზანკისგან“ სხვას რას უნდა ელოდე კაცი, მაგრამ ამ უტიფარ და სინდისგარეცხილ ვითომ ქალს ტელეეთერს რომ დაუთმობს, ის ტელეარხი, კვაჭი კვაჭანტირაძესი არ იყოს, დღეში სამჯერ მაინც არ უნდა „გააიმასქნა“?!

თუმცა თვით ეს უსირცხვილო ნატა ფერაძეც კი ლამის უმანკო ბალღივით რომ გამოიყურება გნაცმოძრაობის უსაზღვრო-უნაპირო უტიფრობის, ყველაფრის მკადრებლობის, საკუთარი ცოდვების ერთთავად სხვათათვის გადაბრალების, შავის თეთრად გასაღების მცდელობის თუ მისთვის ორგანულად დამახასიათებელი სხვა მრავალი უკეთურობის ფონზე?

და ერთიც, შედარებისთვის მკითხველთან ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ლაფში ამოგანგლული ღორის თვისებაც აქვს გნაცმოძრაობას – რასაც და ვისაც კი გაეკარება ან, პირიქით, რაც და ვინც კი მიეკარება მას, ტალახით მოითხვრება. თანაც, დები იშხნელების ერთი ცნობილი სიმღერის გადაფრაზირებით თუ ვიტყვით, განურჩევლად იმონებს, კაცია თუ ქალია!

რატომ კვლავ ასეთი დაზუსტება-მინიშნება!

მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს ორ „ამოთხვრილ“ მამალ ნაცმოძელ მდედრზე გვექნება საუბარი – „ცრუსთავი-2“-ის ყოველკვირეული გადაცემის „განსაკუთრებული აქცენტების“ ავტორსა და წამყვანზე **ეკა კვესიტაძესა** და მედიის განვითარების ფონდის (ერთი მანახა, კონკრეტულად რომელ მედიასაშუალებას ან, საერთოდ, მასმედიის განვითარებას რით შეუწყო ხელი ამ უცხოური გრანტებით ჩაპუტკუნებულ-პირჩატკბარუნებულმა მისმა თავქალობამ) ხელმძღვანელზე **თამარ კინწურაშვილზე**.

ამ ორმა მდედრმა ბაირაღივით აფრიალა თურმე სექტემბრის თვის პირველ „განსაკუთრებულ აქცენტებში“ კინწურაშვილის მიერ მოპოვებული „ზესაიდუმლო“ დოკუმენტი – ჩვენს გაზეთსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შორის წლევანდელ 11 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება, რის თანახმადაც ამ უკანასკნელმა „საქართველოს რესპუბლიკას“ თავისთვის საჭირო მასალის პუბლიკაციისთვის 625 ლარი გადაუხადა.

ჯერ ერთი, ჩემთვის სრულიად არაპატივცემულო მდედრებო, ზემოაღნიშნული უწყების წარმომადგენლებმა ჩვენს გაზეთს იმიტომ მიმართეს, რომ „ცრუსთავი-2“-ის გადაცემებმა – „ბიზნესკურიერმა“ და „პოსტსკრიპტუმმა“ ცილი დასწამეს მას, თავის მართლების საშუალება კი არ მისცეს. და მეორეც, ჩვენი გაზეთის ყოველი ნომრის ბოლო გვერდზე დევს განცხადება, რომელშიც წერია, რომ „რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით“.

მე არ ვიცი, როგორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა თუ უზენაესი საბჭოს ბიუჯეტი ზოგადად ან კონკრეტულად მისი ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურა, მაგრამ მასში, ალბათ, იქნება გამოყოფილი გარკვეული თანხა გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და სხვადასხვა ხასიათის განცხადებათა გამოქვეყნებისთვის, რადგან დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სხვაგვარად წარმოუდგენელია.

და აქ ერთი კითხვა, სამართლიანობა-ობიექტურობისა თუ საბიუჯეტო სახსრების ნებისმიერი ხერხით მოფრთხილება-დაზოგვისთვის თავგადამკვდარო მდედრო თამარ:

სად იყავი აძამდე?

აი, თუნდაც მაშინ, 2004 წლისთვის, როდესაც რამდენიმემილიონიანი საბიუჯეტო დავალიანების გამო „ცრუსთავი-2“-ს სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ახალგაპრეზიდენტებულმა სააკაანთ ბიჭმა ანუგეშა – ნუ გეშინიათ, ჩემი პრეზიდენტობისას არც ერთი ტელეარხი არ დაიხურებაო, და ცხრა მილიონი ლარი რომ აპატია ბიუჯეტის ხარჯზე?

აჰ, მაშინ ჯერ კიდევ არ იყავი სულგაყიდული გრანტიყლაპია, მაგრამ ნაცტალახით მოთხვრილი კი უკვე გახლდი და ეს არ გაინტერესებდა?

მაგრამ ახლა ხომ ხარ ასეთი? ჰოდა, იქნებ დაინტერესდე, რატომ, რის საფუძველზე აპატია გნაცმოძრაობის ხელისუფლებამ „ცრუსთავი-2“-ს 2004-2012 წლებში 34 მილიონ ლარზე მეტი ბიუჯეტის ხარჯზე?

სად იყავი მაშინ, როდესაც ჩვენმა ჰალსტუხჭამია „მთავარსარდალმა“, თავისი ზემოაღნიშნული დანაპირების საწინააღმდეგოდ, სპეცრაზმების გამოყენებით ზედიზედ დახურა ტელეარხები „იბერია“, „202“, ჩააბნელა „მზის“ ეთერი, დაარბია „იმედი“, თავისი ჯიბის ტელევიზიად აქცია „ცრუსთავი-2“?

არ მითხრა ახლა, სად ვიყავი და, ჰოლანდიაშიო!

რაო, თვით ნატა ფერაძეს ჩაასწარი იძ?!

არცოდნა მართლაც არცოდვაა, მდედრო, მაგრამ როდესაც არ იცი და არც გინდა იცოდე, ან მეტიც, როცა ყველაფერი მშვენივრად იცი, მაგრამ თავს განგებ ისულელებ, არ ვიციო, ეს უკვე მარტო ცოდვა კი არა, დანაშაულიცაა!



ახლავე მოგახსენებ, რას ვგულისხმობ.

ასეთი რამ გიწერია: „მედიის განვითარების ფონდის ადრეულ კვლევებში აღნიშნულია, რომ გაზეთი („საქართველოს რესპუბლიკა“ – ავტ.) ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩეოდა (**კიდევ კარგი, ვერ წერ, ანტიქართული პოლიტიკითო, როგორსაც შენ და შენნაირი მდედრ-მამრი გნაცმოძრაობელნი ატარებთ!**)“.

და, როგორც ხშირად გითქვამს, ამისთვის მთავრობა მსგავს გამოცემებს თურმე გულუხვად აფინანსებს.

აიო, წერ, „საბიუეჯტო ორგანიზაციების ხელშეკრულებები აღნიშნულ გაზეთთან, 7 სექტემბრის მონაცემებით, 41790 ლარის ღირებულებას შეადგენს, ხოლო 2015 წელს ამ მაჩვენებელმა 85 916 ლარი შეადგინა...“

ეს უკვე არ არის არცოდვის ტოლფასი არცოდნა, მდედრო!

რატომ არაფერს არ ამბობ, რის საფუძველზე გაფორმდა ეს ხელშეკრულებები?

„კანონიერების მოყვარულო“ (ისემც დაგიმშვენდეს ცხვირი!) მდედრო, ვილაპარაკოთ კანონის ენაზეო.

მაშ ასე, **„საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“**, რომლის მეორე მუხლში **„კანონის მიზანი“** – ნათქვამია:

ა) სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო საჭიროებისთვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და ადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო შესიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

გაიგე, რატომ და რის საფუძველზე ფორმდება „მთლიანობაში სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელშეკრულებები აღნიშნულ გაზეთთან?“

მიხვდი, რომ აქ არაფერ შუაშია ჰომოფობია-ქსენოფობია თუ ანტიდასავლური პოლიტიკა და მთავარია „სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა?“

სხვათა შორის, ცნობისთვის: შარშან ჩვენმა გაზეთმა შენს მიერ აღნიშნულზე გაცილებით დიდ თანხაზე გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ საბიუჯეტო უწყებასთან – გარემოს დაცვის სამინისტროსთან, რომლის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა დაბალი ფასის წყალობით. მაგრამ შარშან კი დამარცხდა, რადგან გაზეთმა „ახალმა თაობამ“ ბევრად უფრო დაბალი, ლამის დემპინგური ფასის წყალობით გვაჯობა და ეს ტენდერი მოიგო.

აი, ეს არის, მდედრო, კანონში აღნიშნული **„ჯანსაღი კონკურენცია“, „ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა“** და ა. შ.

და ბოლოს, აღნიშნული კანონის (იგი, სხვათა შორის, 2005 წლის 20 აპრილსაა მიღებული სააკაშვილის ხელწერით) კიდევ ერთი პუნქტი: **„სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება“**.

იმის დასადასტურებლად, როგორი სიმართლე-სამართლიანობის დამცველი და ობიექტურიც იყო გნაცმოძრაობა თავისი გახელისუფლების პირველი დღეებიდანვე, ერთ, უშუალოდ ჩვენს გაზეთთან დაკავშირებულ მაგალითს მოვიყვან.

2004 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდნენ „საქართველოს რესპუბლიკა“ და გნაცმოძრაობის მაშინდელი ჯიბის გაზეთი „24 საათი“.

როდესაც სატენდერო კომისიის სხდომაზე ორივე გაზეთის მიერ წარდგენილი კონვერტები გაიხსნა, კომისიის წევრები შოკში ჩავარდნენ: **„საქართველოს რესპუბლიკა“, რომელმაც სატენდერო ფასის დადგენისას გადაწყვიტა, შეძლებისდაგვარად მხარში ამოდგომოდა ბიუჯეტს, თავისი საგაზეთო ფართობის ყოველი კვადრატული სანტიმეტრის დათმობისთვის 10 თეთრს** ითხოვდა, **„24 საათი“ კი – 22 აშშ ცენტის ეკვივალენტს, ანუ მაშინდელი კურსით 38 თეთრს**.

ესე იგი, ლამის ოთხჯერ მეტს, ანუ თუ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ერთი გვერდის ყიდვა რომელსამე საბიუჯეტო ორგანიზაციას ასი ლარი დაუჯდებოდა, „24 საათში“ მას ამისთვის 380 ლარი უნდა გადაეხადა. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლამის ყოველ ნომერში ათიდან ოც გვერდამდე განცხადება ქვეყნდებოდა, წარმოიდგინეთ სხვაობა და ზარალი.

დაბნეულმა კომისიის წევრებმა (მათგან ერთ-ერთი „სიმართლე-სამართლიანობისა და დემოკრატიისთვის ერთთავად ხმალშემართული“ ინგა გრიგოლიაც გახლდათ) სხდომა და ვერდიქტის გამოტანა გადადეს.

ერთი კვირის მერე კი გვითხრეს, თქვენს სასარგებლოდ ფასთა შორის დიდი სხვაობის მიუხედავად, მაინც „24 საათს“ უნდა მივაკუთვნოთ გამარჯვება, რადგან იგი სარეკლამო განცხადებების უცხო ენებზე გამოქვეყნებას გვპირდებაო.

გავაპროტესტეთ, – ის გპირდებათ, ჩვენ კი მრავალგზის გვაქვს გამოქვეყნებული განცხადებები რამდენიმე უცხოურ ენაზეო, ვუმტკიცეთ და გაზეთის შესაბამისი ნომრებიც წარვუდგინეთ, მაგრამ შენ შეაჩერებ „ნათელი მიზნისკენ“ მიმავალ „დემოკრატებს?“

აი, ასე აზარალეს ბიუჯეტი ასიათასობით ლარით!

სად იყავი მაშინ?

ნუთუ...

ჰოდა, ღირს რამის დაწერა? იმათ თუ ვერაფერი შევასმინეთ, ამათ, მდედრებს, გააგებინებ რამეს? ხომ ნათქვამია, ქალმა (ამ შემთხვევაში მდედრმა) თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ შეაჩერებსო?

ამიტომაც აქ დავსვამ წერტილს.

თუმცა მანამდე ერთი სტროფი... უმისამართოდ, ანუ კონკრეტულად არავის რომ არ ეძღვნება (ყოველ შემთხვევაში, მე გამოკვეთილად არავის არ ვუძღვნი – **რ. რ.**) ისეთი – არც მდედრებს, არც მამრებს, არც გნაცმოძრაობას თუ რომელსამე სხვა პარტიას. ვისაც როგორ უნდა, ისე მიიღოს და ვისაც ვინ მოეპრიანება, იმას მიუსადაგოს (ამ თხოვნით მკითხველებს მივმართავ, რომლებიც უთუოდ მიხვდებიან, ვინაა მისი ადრესატი):

„ჩვენ ვართ ღორები, გვიყვარს
ლაფარო,
გვიყვარს წვირე და მოთხვრილი
ვარცლი,
ჩვენ ვართ ღორები და სალაფავის
თქვლეფას ერთმანეთს არასდროს
ვაცლით“.

რუსლან რუსია

P. S. ზემოთ კი ვთქვი, აქ დავსვამ წერტილს-მეთქი, მაგრამ გონების თვალით კიდევ ერთხელ რომ შევაფასე ვითარება, მივხვდი – ამ უტიფარ-ურცხვი მდედრი ნაციონალების და, საერთოდ, წარმოუდგენლად უნამუსო გნაცმოძრაობის ფონზე „პარტიზან“ ნატა ფერაძესთან იქნებ ბოდიშიც კი მქონდეს მოსახდელი: იგი გულახდილად მაინც ამბობს, რასაც ფიქრობს და აკეთებს, ყველას და ყველაფერს თავის რეალურ სახელს არქმევს და შინაგანად მეძავი ბუნების მქონე გნაცმოძრაობის მსგავსად გარეგნულად არ კოხტაპრუწაობს.

თუმცა საბოლოოდ მაინც ერთი ანდაზისა არ იყოს, ფერი ფერს და მადლი ღმერთს!

ანუ გნაცმოძრაობა მაინც კოლექტიური ნატა ფერაძეა!

რ. რ.

თუ გაქვთ მაგთის ინტერნეტი, ტელევიზია ან მობილური...

ეროვნულ საკომუნიკაციო სფეროში მომსახურების უმსხვილესი მიმწოდებელი და, როგორც ყველა წარმატებული, დღენიადაგ სხვადასხვა მიმართულებით სერვისების სპექტრის გამდიდრებაზე მზრუნველი კომპანია მაგთიკომი მომხმარებელს ამჯერზეც მეტად საგულისხმო პროდუქტს სთავაზობს.

ცოტა ხნის წინათ მაგთიკომმა კომპანია კავკასუს ონლაინისგან ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის, ინტერნეტ-ტელევიზიის, ფიქსირებული ტელეფონისა და ჰოსტინგის აქტივები შეიძინა, რომლებიც 1 აგვისტოდან გააქტიურდა. როგორც შეძენილი, ასევე არსებული აქტივების ინტეგრაციით, მაგთიკომი სრული საკომუნიკაციო სერვისების მიმწოდებელი, ანუ ოთხმაგი მოთამაშე გახდა. ამდენად, აღნიშნული ბიზნეს-მიმართულებებით, მაგთიკომი თანამედროვე კომუნიკაციებისთვის საჭირო ყველა სერვისს უზრუნველყოფს, რაც კომპანიას მომხმარებლისთვის სხვადასხვა სახეობის პროდუქტის განსხვავებული კომბინაციის მიწოდების შესაძლებლობას აძლევს.

ერთ-ერთი პირველი ახალი საკომუნიკაციო პროდუქტი სახელწოდებით „ჩემები“, რომელიც ინტერნეტის, ტელევიზიისა და მობილური სერვისების კომბინაციის შედეგად შეიქმნა, მაგთიკომმა ჟურნალისტებს 12 სექტემბერს გამართულ პრეზენტაციაზე შესთავაზა.

დამსწრე საზოგადოებისთვის კომპანიის ახალი მომსახურების წარდგენისას, მაგთიკომის მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორმა **თამარ გაჩეჩილაძემ** აღნიშნა, რომ „ჩემები“, უწინარესად, ესაა მაგთის ნებისმიერი აბონენტისთვის ახლობელ ადამიანებთან უაღრესად შეღავათიანი ურთიერთკავშირის საუცხოო საშუალება. მათ, ვისაც მაგთის ინტერნეტი ან IPTV ტელევიზია აქვს, პროდუქტი „ჩემები“ მობილური ტელეფონით ექსკლუზიური სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს – აბონენტს შეუძლია მისთვის ახლობელი მაქსიმუმ ოთხი პირი აირჩიოს და მათ ერთმანეთში მთელი თვის მანძილზე, თითოეულ წევრზე მხოლოდ ერთი ლარის საფასურად, ყოველგვარი ლიმიტის გარეშე ისაუბრონ.

– ახალი შეთავაზება მომხმარებელთა ინტერესებზეა მორგებული, რაც კომპანიის მოღვაწეობის მთავარი პრიორიტეტია, ხოლო ახალ, ინოვაციურ პროექტებზე მუშაობა კვლავაც გრძელდება, – დასძინა ქალბატონმა თამარ გაჩეჩილაძემ.

შემდეგ ჟურნალისტებს მაგთის ახალი პროდუქტის სარეკლამო ვიდეორგოლი აჩვენეს, რის შემდომ კომპანიის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დირექტორმა **ირაკლი ლობჟანიძემ** მაგთიკომის მომსახურების აპლიკაცია და „ჩემებით“ სარგებლობის მეთოდოლოგია წარუდგინა.

კომპანიის წარმომადგენლებმა ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხეს, რომლებიც ახალი სერვისის კორპორაციული აბონენტებისთვის ჩართულობის, მომავალი სიახლეების საკითხებს ეხებოდა. აღინიშნა, რომ უახლოეს მომავალში მაგთიკომი ახალი პლატფორმით ქვეყნის მხარეებში ინტენსიურად დაიწყებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის, IT-ტელევიზიით მომსახურების შეტანას.

კომპანიაში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მაგთიკომი საქართველოში პირველი და ერთადერთი ოპერატორია, რომელიც სრულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას უზრუნველყოფს და მომხმარებელს მომსახურებას მსოფლიოში არსებული ყველა ტექნოლოგიით სთავაზობს. მათ შორისაა, კერძოდ: **ორი ტიპის ინტერნეტი – მობილური და ოპტიკურ-ბოჭკოვანი; ორი ტიპის ტელევიზია – სატელიტური და IPTV; ორი ტიპის ფიქსირებული ტელეფონია – რადიო და საკაბელო, ასევე მობილური ტელეფონია, რომელიც მობილური ტელეკომუნიკაციის განვითარების ყველა საფეხურს, მათ შორის 2G, 3G და 4G ქსელებს მოიცავს. გარდა ამისა, ჩვენში პირველად, მხოლოდ მაგთიკომის აბონენტებს აქვთ მსოფლიოში უახლესი 4,5G LTE Advanced ქსელით სარგებლობის შესაძლებლობა.**

ოთარ ტურაბელიძე

◎ ტრანსპორტი

ქვეყანაში საავტომობილო ეპიდემია არ ცხრება

ბოლო 5-6 წელიწადში საქართველოშიც და თბილისშიც ავტომობილების რაოდენობა გაორმაგდა. ყოველი მესამე მანქანა დედაქალაქში რეგისტრირდება. გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს. ირგვლივ მხოლოდ განგაშის სიგნალებია, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას კი არავის ჩქარობს.

– თუ თბილისში 2010 წელს, საშუალოდ, 200 000 მანქანა მოძრაობდა, 2016 წლისთვის ეს რიცხვი გაორმაგებულია, – განაცხადა დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მერიაში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც საცობების განმუხტვისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს ეხებოდა.

მუნიციპალიტეტის მონაცემები დასტურდება შინაგან საქმეთა სამინისტროს კვლევითაც. შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის კვლევით აშკარად ჩანს, რომ 2010 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა იზრდება.

„ბუნებრივია, ჩვენ მივდივართ საგზაო მოძრაობის კოლაფსისკენ. სასწრაფო, სახანძრო, სამაშველო ავტომობილები დანიშნულების ადგილზე მისვლას, პრაქტიკულად, ვეღარ ახერხებენ. დღეს ჩვენ თუ ვამბობთ, რომ არის საცობები, მომავალ წელს საერთოდ გადაადგილება ვეღარ მოხერხდება. თბილისში ძალიან გადატვირთულია საგზაო მოძრაობა.

2013-15 წლებში ავტომობილების რაოდენობა 65-80 ათასით იზრდებოდა, ანუ ძალიან დიდი მატებაა. ასევე არის ასეთი კვლევაც, სადაც ჩანს, რომ მანქანის შეძენის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად 8%-ით იზრდება“, – აცხადებს ავტოექსპერტი დავით მესხიშვილი.

საქართველოში ავტომობილების პრობლემას ყურადღებას აქცევენ არა მარტო ადგილობრივი, არამედ უცხოელი ექსპერტებიც. ამერიკულ საინფორმაციო პორტალ vox.com-თან საუბრისას ანალიტიკოსი ტიმ კოვაჩი განმარტავს, რომ საქართველოს პირველი ადგილი უკავია სატრანსპორტო სისტემის გაუმართაობის გამო.



„ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში აღინუსხება ძველი, დიზელზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების მკვეთრი ზრდა, დაბინძურების დონის ტესტირების სისტემა კი ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ არსებობს“, – განმარტავს გამოცემა.

ტიმ კოვაჩის აზრით, საქართველოში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა არასაკმარისად არის განვითარებული, შედეგად მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გადაადგილებისთვის მეტწილად პირად ავტომობილებს იყენებს. შედეგად, ბოლო 10 წლის განმავლობაში მანქანების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, ბოლო 5 წლის განმავლობაში კი გაორმაგდა.

„მანქანების უმრავლესობა საზღვარგარეთიდან შემოტანილი მეორადი ავტომობილია, დიზელზე მომუშავე მანქანები საქართველოში ძალიან პოპულარულია. გარდა ამისა, ამჟამად საქართველოში არ მოქმედებს ავტომობილების ვარგისიანობის შემოწმების სისტემა, რის შედეგადაც მანქანების უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავია. ასევე შეჩერებულია ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის შემოწმებაც.

ბაზარზე მისაწვდომი დაბალი ხარისხის საწვავი სწრაფად აფუჭებს ავტომობილის „კატალიზატორს“, მანქანების მფლობელები კი, როგორც წესი, დაზიანებულ კატალიზატორებს არ ცვლიან, რაც გამონაბოლქვის დონის ზრდას იწვევს.

საქართველოს ქალაქებში სატრანსპორტო მოძრაობის მართვა კვლავ პრობლემურია, საცობები კი ხშირი მოვლენაა. ყველა ეს ფაქტორი საქართველოში გამონაბოლქვის მნიშვნელოვან დონეს იწვევს“, – აცხადებს ტიმ კოვაჩი.

ბექა დანელია

◎ საგანგაშო სტატისტიკა!

ექიმთა შეცდომებისა და დაუდევრობის გამო 2 წელიწადში 62 მშობიარე და ჩვილი დაიღუპა

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი კვლავ საგანგაშოა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი დგება, ისინი გარკვეული დროის შემდეგ სამედიცინო საქმიანობის შესრულებას მაინც აგრძელებენ.

ამ საკითხით „კომერსანტი“ რამდენიმე წელია დაინტერესებულია. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში პაციენტების დაღუპვის არცერთ ფაქტს, რომელშიც ექიმების ბრალეულობა დადასტურდა, ამ ექიმებისთვის სათანადო სიმძიმის სასჯელი არ მოჰყოლია და საბჭო მაქსიმუმ ლიცენზიის რამდენიმეთვიანი შეჩერებით ან სამედიცინო დაწესებულებებისთვის ჯარიმების დაწესებით შემოიფარგლა.

მაგალითად, ორი ექიმისთვის სანქციების დაწესებით შემოიფარგლა ჯანდაცვის სამინისტრო 2014 წლის ივლისში ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში მშობიარის გარდაცვალების გახმაურებული ფაქტის გამოძიების შედეგად. კერძოდ, სამშობიარო სახლის ოთხ ექიმს დროებით ლიცენზია შეუჩერდა, სამს კი წერილობითი გაფრთხილება მიეცა.

„სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ მხოლოდ და მხოლოდ ჯარიმის გადახდა დაეკისრა შუახევის კლინიკაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ. ამ კლინიკაში პაციენტი იმის გამო გარდაიცვალა, რომ ადგილზე სამედიცინო პერსონალი არ დახვდა.

ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მაშინ აღიარა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა სამედიცინო დაწესებულების დარღვევები.

„კომერსანტთან“ საუბარში პროფესიული განვითარების საბჭოს რამდენიმე წევრმა, კონფიდენციალობის დაცვის პირობით, განაცხადა, რომ სააგენტოს წევრები უფრთხილდებიან თავიანთი კოლეგების იმიჯს და ყველაზე მძიმე შემთხვევების დროსაც კი მათთვის ლიცენზიის შეჩერებაზე მკაცრ სასჯელს არ ითხოვენ.

საბჭოს წევრები „კომერსანტთან“ კონფიდენციალურობის დაცვის პირობით ამბობენ, რომ მათ მიერ განხილული შემთხვევების 80%-ში ექიმების ბრალეულობა დასტურდება, თუმცა „პროფესიული სოლიდარობის“ გამო ასეთი ექიმები ფაქტობრივად დაუსჯელები რჩებიან და რამდენიმე თვეში უპრობლემოდ აგრძელებენ პაციენტების მკურნალობას.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ პრობლემები ღიად ვლინდება ქვეყნის მთავარ პედიატრიულ დაწესებულებაში.

კლინიკის პრობლემების გამოხატულება იყო, 2015 წლის შემოდგომაზე, ექიმების გაფიცვა ხელფასების მოთხოვნით.

მაშინ „კომერსანტი“ იაშვილის კლინიკის რამდენიმე ექიმს ესაუბრა, რომლებმაც საკუთარი ვინაობის დასახელებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს და აღნიშნეს, რომ ისეთ პირობებში, როგორიც კლინიკაშია შექმნილი, პაციენტებისთვის თანამედროვე, მაღალი სტანდარტების მომსახურების გაწევა შეუძლებელია.

ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2014-2015 წლებში მშობიარობისას დედისა და ჩვილის გარდაცვალების შემთხვევების შესწავლისას დადგინდა, რომ 62 შემთხვევაში ტრაგედიის მიზეზი მკურნალობისას დაშვებული შეცდომა, ან ექიმების მხრიდან არასათანადო ყურადღება იყო.

ამ განხილვების შედეგად, ამავე პერიოდში 174 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი დადგა, რის შედეგადაც 77 ექიმს სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით შეუჩერდა, ხოლო 97 ექიმს „წერილობითი გაფრთხილება“ მიეცა. 38 ექიმს კი დაევალა შესაბამის სპეციალობაში პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა. ამ ეტაპზე განსახილველია კიდევ 44 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.

რაც შეეხება ორსულის გარდაცვალების კონკრეტულ ფაქტს, გონიოში მცხოვრები 31 წლის მინდია ზოიძე აღნიშნავს, რომ მისი 27 წლის მეუღლე შორენა დევაძე და მისი მუცლად მყოფი შვილი ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში ექიმების დაუდევრობის გამო გარდაიცვალნენ და იმ ტრაგედიის შესახებ საუბრობს, რაც მის ოჯახს შეემთხვა. როგორც იგი აღნიშნავს, ის ექიმი, ვინც მისი მეუღლე ამშობიარა, ამჟამადაც განაგრძობს პროფესიულ საქმიანობას.

„როდესაც ტკივილები დაეწყო, ბავშვის მოძრაობა ჩემი ხელით ვნახე. მეუღლე ამ დროს 8 თვის ორსული იყო და ჩავთვალე, რომ ნაადრევი მშობიარობა ეწყებოდა. მაშინვე გადავიყვანე ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში.

იქ ჩემს ცოლს სამი ექო გადაუღეს მშობიარობამდე და ამის შემდეგ მითხრეს, რომ ბავშვი ცოცხალი აღარ იყო. ფიზიოლოგიურ მშობიარობაზე იგი 8 საათი აწვალეს, მაშინ როდესაც შეეძლოთ, საკეისრო გაეკეთებინათ, მაგრამ ეს პასუხისმგებლობა არ აიღეს.

ბავშვი მკვდარი დაიბადა. მშობიარობა ღამის 2 საათზე დაეწყო და დილით 8-ზე მითხრეს მისი გარდაცვალების შესახებ. სინამდვილეში კი ის 3-4 საათზე უკვე გარდაცვლილი იყო და ეს ამბავი დაგვიმალეს, ჩვენ მასთან არ გვიშვებდნენ. მე კი სამშობიარო მაგიდაზე-ვე შევატყვე, რომ ვეღარ გადარჩებოდა“, — აღნიშნა ზოიძემ.

როგორც დაზარალებული განმარტავს, პროკურატურა მის საქმეს არ იძიებს.

მსგავსი შემთხვევები ერთეული არ არის. ამ სიტუაციაში დამნაშავის გამოვლენა ჟურნალისტის ვალდებულება არ არის, თუმცა თავად ფაქტი, რომ მშობიარობა გარდაცვალებით დასრულდა და ამ შემთხვევას არც ჯანდაცვის სამინისტრომ და არც სამართალდამცავმა უწყებებმა შესაბამისი ყურადღება არ მიაქციეს, საგანგაშოა.

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი ტრაგიკული შემთხვევები რეზონანსული გახდებოდა.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭოში განმარტავენ, რომ საბჭოს ფორმატში გარდაცვალების შემთხვევების განხილვა არ არის კონკრეტული პიროვნების ან დაწესებულების დასჯისკენ მიმართული.

„ჩვენ ამ პრობლემების გამოსწორებაზე ვმუშაობთ და არა კონკრეტული პირების დასჯაზე. გამოსწორებაში სპეციალური რეკომენდაციები იგულისხმება, რომ შემდგომ სხვა ექიმებმა და დაწესებულებებმა იგივე შეცდომები არ გაიმეორონ. რაც შეეხება ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხს, ეს პროფესიული განვითარების საბჭოს კომპეტენციაა“, — განაცხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრმა მარინა ბაიდაურმა.

ფიქრია მინდაძე,
კომერსანტი

◎ შოუბიზნესი

ნიჭს მხარდაჭერა სჭირდება!

რატომ გვეკარგებიან ახალბედა მუსიკოსები?

ძუჩაში ახალგაზრდები მოდიოდნენ — მხიარულები, ლაღები, ლამაზები. ხმამაღლა საუბრობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ხალისობდნენ. მომიახლოვდნენ და უცებ თითქოს საგანგებოდ ჩემთვის, ერთ-ერთი მათგანის მობილური ტელეფონი ამღერდა. იმას ვგულისხმობ, სიმღერას რომ ჩაწერენ, ტელეფონის ზარის ნაცვლად. ჯგუფი „თბილი-სის“ წამყვანი სოლისტი ბექა გელენავა თავის ცნობილ სიმღერას „მე მხოლოდ სიყვარული მინდა“ გვანცა დარასელიასთან ერთად მღეროდა.

ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები მონატრებული ძმისშვილის ხმის გაგონებამ ძალიან გამახარა.

მართლა როგორ მომნატრებია ჯგუფი „თბილი-სი“ და ბექა. თქვენ არ მოგენატრათ? იმ ახალგაზრდებსაც დავუსვი ეს შეკითხვა. ახლობელია-მეთქი, რომ ვთქვი, ჩემს ირგვლივ წრე შეკრეს. სხაპასხუპით დამაყარეს კითხვები: სად წავიდაო, აკი ნახევარი წლით დაგვემშვიდობა, თურქეთში გასტროლებზე მივდივართო. ორ წელზე მეტი გავიდა, ამდენ ხანს სად არისო, მოგვენატრა და მერე როგორო!

„ცხოვრება ყოფილა თურმე დიდი თამაში, მე სათამაშო...“ წაიღიღინა ბექა გელენავას ასევე, ცნობილი სიმღერა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ. მეორემ „ჩვენს სამშობლოს საქართველო ჰქვია, მტერს მისი ზურმუხტ-მარგალიტი წაუღია...“ მესამემ „შენ გული დამიკარგე...“ და ასე შემდეგ. ჯგუფი „თბილი-სის“ და ბექა გელენავას მთელი რეპერტუარი სულ ზეპირად სცოდნიათ.

გამახარა, ამაღელვა, დამაფიქრა ამ ამბავმა და ეს წერილი დამაწერინა. როგორც გითხარით, ბექა გელენავა ამჟამად საზღვარგარეთაა, ცხოვრობს შუაგულ ევროპაში. კომუნიკაციის პრობლემა არა აქვს, რამდენიმე უცხო ენაც იცის, მათ შორის ინგლისური სრულყოფილად. რას აკეთებს იქ? მუშაობს (არა თავისი პროფესიით) და სწავლობს (არა თავისი პროფესიით, სხვა, ახალ პროფესიას ეუფლება), ანუ დღეს იგი, მუსიკაზე უსაზღვროდ შეყვარებული მუსიკოსი, მუსიკით არ არის დაკავებული. თუმცა, ზოგჯერ აქვს ხოლმე ირიბი და ძალიან შთამბეჭდავი შეხება მუსიკასთან. ასე, მაგალითად, ერთხელ პარიზში იყო ჩასული და იქ ერთ დღეს ერთ-ერთ კლუბში მუსიკას უსმენდა. ბენდთან მისულა, თუ შეიძლება გიმღერებთო. დათანხმებულან. მუსიკა შეუკვეთავს და რომელიღაცა ინგლისური სიმღერა ისე უმღერია, ისე უმღერია, მთელი დარბაზი ტაშის გრიალით ფეხზე წამომდგარა. გამოვარდნილა პროდიუსერი, ვინა ხარ, დღესვე დაგიდებ კონტრაქტსო. უცხოელი სტუდენტი ვარ, ვერ დავრჩებიო, — უპასუხნია.

წარმატებული აქაც იყო, ბავშვობიდან სცენაზე დგას. ცხრა წლის იყო, მშობლებმა რობერტ ბარძიმაშვილს რომ მიუყვანეს. ბარძიმაშვილმა თქვა, ძალიან ნიჭიერია, მუსიკისთვის არის დაბადებულიო და თავის ანსამბლში ჩარიცხა. განათლებით თეატრმცოდნეა, თეატრალური უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ პროფესიად მუსიკოსობა ირჩია. ამ რამდენიმე წლის წინათ მეგობრებთან ერთად შექმნა ჯგუფი „თბილი-სი“, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა. ჯგუფს სახელი მუსიკალური ნოტის („სი“) მიხედვით დაარქვა.

მრავალმხრივი მუსიკოსია: წერს სიმღერებს, მღერის, უკრავს... იყო ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონკურსის ფინალისტი. მისი სიმღერა „ყველაფერი კარგად იქნება“ ერთ-ერთმა რადიომ თავის დროზე წლის სიმღერად დაასახელა. „იუთუბიზე“ შვიდ მილიონამდე მსმენელმა მოუსმინა მის ცნობილ დუეტს, რომელიც წერილის დასაწყისში ვახსენე. ჯგუფმა გამოსცა ერთი შესანიშნავი ალბომი და... მას შემდეგ პაუზა. პაუზა გამოწვეული იმით, რომ პოპულარული ჯგუფი „თბილი-სის“ სოლისტი ბექა გელენავა გაურკვეველი დროით საზღვარგარეთ წავიდა. წავიდა იმიტომ, რომ აქ არც სამსახური ჰქონდა, არც კონცერტები, თავი რომ ერჩინა, ღამის კლუბებში უკრავდა. ერთი პატარა სამუშაო კუთხე ენატრებოდა, ჯგუფთან ერთად თუნდაც რეპეტიცია რომ გაევლო. რეპეტიციისთვის ოთახი როგორღა დაექირავებინა, როცა მისი ოჯახი აფხაზეთის ომის შემდეგ (უკვე მეოთხედი საუკუნეა) თბილისში ბინას ქირაობს. ბექას დედა მუსიკოსი (მევიოლინე) თამარ ხაბეიშვილი თბილისელია, ბექაც თბილისში დაიბადა, მამამისი კი ნოდარ გელენავა, აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, სოხუმელია, ოჯახს დღემდე ბინა არა აქვს.

წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა ნიჭიერმა მომღერალმა და კომპოზიტორმა თავის შემოქმედებაზე იფიქროს თუ ამდენი პრობლემის გადაჭრაზე, მითუმეტეს, როცა სახელმწიფოსგან არანაირი ხელისშეწყობა არ ჩანს.

შოუ-ბიზნესი რომ დღეს საქართველოში არ არსებობს და მომღერალს გასაქანი არა აქვს, ამას ლაპარაკი რად უნდა. რეალიზებისთვის ერთადერთი საშუალება კლუბებსა და რესტორნებში სიმღერაა. ვიღაცა იტყვის, სატელევიზიო შოუები და კონკურსები ხომ ტარდებაო. რა მერე?! კონკურსის შემდეგ ეს ნიჭიერი ადამიანები იმის მაგივრად, რომ შემოქმედებითი მუშაობა განაგრძონ, ახალ ალბომზე იმუშაონ და ა.შ., ახლა სხვა კონკურსებზე მიდიან. მეტი არაფერი არ ხდება. მეზობელ ქვეყნებში კი ეს საქმე დიდი ხანია, მოგვარებულია. ყველა ქვეყანაში (საქართველოს გარდა) არსებობს საპროდიუსერო ჯგუფები, ცენტრები, არსებობს ხალხი, ვინც ზრუნავს ყველაფერ ამაზე. პროდიუსერები, მენეჯერები მართავენ კონცერტებს, აგვარებენ სხვა საორგანიზაციო საკითხებს, მომღერლებს კი მხოლოდ სიმღერაზე უწევთ ფიქრი.

ბუნებრივია, ამ საქმის აწყობა, რომელიც მთელი სისტემის შექმნას გულისხმობს, თანხებთან არის დაკავშირებული, თანხებს კი ქართული შოუბიზნესის ასაღორძინებლად საქართველოში ვერავინ ვერ იმეტებს, სამაგიეროდ, უცხოელი მომღერლების ჩამოსაყვანად 29 მილიონის გადახდა, აბა, რა სალაპარაკოა, ქვეყნის იმიჯისთვის არის თურმე ეს საჭირო(?!)

მზია გელენავა,
ჟურნალისტი

„ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐᲡ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲛ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ“

ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ კონგრესი მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. ამის შესახებ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ რეზოლუციაშია საუბარი, რომელიც კონგრესმა განიხილა.

ამასთან, დოკუმენტში ნათქვამია, რომ კონგრესი მოუწოდებს რუსეთს, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისა და პოლიტიკისგან, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული შეთანხმების შესასრულებლად.

დოკუმენტის განხილვისას საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გააკეთა კონგრესის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის წევრმა ელიოტ ენგელმა.

„ნათელია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აკეთებს ყველაფერს, რომ ხელი შეუშალოს შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მრავალწლიან მცდელობას, შექმნან ერთიანი და თავისუფალი ევროპა. ვფიქრობ, 2008 წელს საქართველოს ნატოს მიღმა დატოვება დიდი შეცდომა იყო. ეს რეზოლუცია კი არის შეერთებული შტატების მხრიდან კიდევ ერთი დასტური, რომ საქართველო ჩვენი პარტნიორია. ვთვლით, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს, ისევე როგორც უკრაინის შემთხვევაში. არალეგიტიმურია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. საქართველო უნდა იყოს თავისუფალი, ხოლო რუსეთმა უნდა დატოვოს მისი ტერიტორიები. ასევე გვჯერა, რომ საქართველოსთვის კარი ღია უნდა იყოს ნატოსა და ევროკავშირის წევრობისთვის“, — აღნიშნა ენგელმა.

კონგრესმენ ედ როისის თქმით, რუსეთი ქართველ ხალხზე ზემოქმედებას ცდილობს.

„ეს არის ჩვენი ერთობლივი, მკაფიო გზავნილი ქართველი ხალხისა და პრეზიდენტ პუტინის მიმართ, რომ შეერთებული შტატები რჩება ამ მებრძოლი დემოკრატიის მეგობარ ქვეყნად. ეს რეზოლუცია საჭირო დროს განიხილება, რადგან კრემლი ცდილობს ქართველი ხალხი დაარწმუნოს, თითქოს ჩვენ ისინი მივატოვეთ და მოსკოვის გარდა სხვა არჩევანი არა აქვთ. ამ რეზოლუციის მიღებით კი მნიშვნელოვან გზავნილს ვაჟღერებთ. როცა ქართველი ხალხი ერთი თვის შემდეგ ხმის მისაცემად მივა საარჩევნო უბანთან, ამერიკა მათ გვერდით იდგება“, — აღნიშნა კონგრესმენმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, აღნიშნული რეზოლუცია მნიშვნელოვანი შრომის შედეგია.

„ეს რეზოლუცია არის შედეგი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ძალიან აქტიური მუშაობისა. რეზოლუცია მხარს გაუსვამს საქართველოს საკითხის აქტუალობას ამერიკის პოლიტიკურ წრეებში და არა მარტო ამერიკის მთავრობის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერას, არამედ კონგრესის ორპარტიულ მხარდაჭერას ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხისადმი, რომელიც დღეს საქართველოს აქვს“, — ამბობს ჯანელიძე.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲝᲛᲔᲮᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ, ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ **„ᲔᲮᲝ“**-Ს ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲫᲝ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲧᲐᲠᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ Ა.Ш. (ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ — Ბ.ᲡᲐᲤᲐᲠᲝᲕᲘ, Ნ.ᲐᲚᲘᲔᲕᲘ).

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ **„ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ“** ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲚ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲓᲐᲜ:

„საეჭვოა, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში საქართველოს რკინიგზის აფხაზურ მონაკვეთზე მოძრაობა აღდგეს. ეს რომ მოხდეს, ამისთვის აუცილებელია ქართულ-აფხაზური და ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარება, საქართველოს ხელისუფლებაში ისეთი ძალების მოსვლა, რომელიც ამაზე დათანხმდება. რაც შეეხება დაფინანსების საკითხს, ეს შეიძლება ყოველთვის გადაწყდეს. პირველ რიგში, პრობლემის პოლიტიკურ დონეზე მოგვარებაა აუცილებელი. ამისთვის კი, მინიმუმ ათი წელია საჭირო“, — ამბობს მდგრადი განვითარების კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნარიმან აღაევი გაზეთ „ეხო“-სთან საუბარში.

როგორც ექსპერტი თვლის, საქართველოს რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის აღსადგენად სერიოზული ინვესტიციების ჩადება იქნება საჭირო. **„ამ რკინიგზის დიდი ნაწილი თითქმის ოცი წელია, არ მუშაობს, დაზიანებული და თითქმის განადგურებულია ინფრასტრუქტურა, სიგნალიზაცია. შესაცვლელია შპალები. საჭიროა ათობით მილიონი დოლარი. რკინიგზა მომგებიანი სატრანსპორტო არტერიაა, მაგრამ დიდ ხარჯებსაც მოითხოვს. საეჭვოა, რომ რუსეთი იყოს მისი აღდგენით დაინტერესებული. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც რკინიგზის აფხაზურ მონაკვეთზე მოძრაობის აღდგენა აინტერესებს, სომხეთია, თუმცა ეკონომიკური ვითარება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რკინიგზა სომხეთისთვის შემოსავლების მიღების პოტენციური წყარო გახდეს“,** — ამბობს ნარიმან აღაევი.

თავის მხრივ, პოლიტოლოგი პარვინ დარაბადი აღნიშნავს, რომ რკინიგზის აფხაზეთის უბანზე მოძრაობის აღდგენა საქართველოს ხელისუფლების საქმეა — მხოლოდ თბილისმა უნდა გადაწყვიტოს. ეს მომგებიანია სომხეთისთვისაც, რომელიც ბლოკადიდან გამოსვლის გზებს ეძებს: **„მაგრამ ყველა სომეხი ექსპერტი, რომელიც აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე ოცნებობს, ღრუბლებში დაფრინავს. მთავარი და რეალური პროექტია „ბაქო-თბილისი-ყარსის“ რკინიგზა, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს უნდა ამუშავდეს. თუ სომხები რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის აღდგენას შეძლებენ, დაე აღადგინონ. ჩვენ ამით არც შეგვცივდება და არც დაგვცხება. შესაძლოა, რუსეთსა და საქართველოში ზოგიერთები უფრო მეტ მნიშვნელობას ეკონომიკურ ინტერესებს ანიჭებენ, ვიდრე პოლიტიკურს...“,** — ამბობს პარვინ დარაბადი.

◎ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ: ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲐᲥᲕᲡ

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ რამაზ, როგორ შეაფასებთ პარტიების მიერ წარმოდგენილ საარჩევნო სიებს?

— მივესალმები იმას, რომ პოლიტიკაში ახალი ადამიანები შემოდიან. რაც შეეხება პარტიების მიერ წარმოდგენილი სიების სხვა კომპონენტებს, მაგალითად, პაატა ბურჭულაძის პარტიის საარჩევნო სიის ათეული სრულიად გაუგებარია, რადგან ბლოკში სია პარტიების წარმომადგენლების მიხედვით კეთდება ხოლმე. ამ მხრივ ბურჭულაძის ბლოკში გაუგებარია, ვინ რატომ არის ამ სიაში.

— რომელ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ შანსი, გადალახონ ბარიერი და მოხვდნენ პარლამენტში?

— სიების მიხედვით და სხვა რესურსზე არ ვამბობ, „ქართულ ოცნებას“ გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს, რადგან სათავეში არის გიორგი კვირიკაშვილი, რომელსაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს და, მეორე მხრივ, პარტია ახალგაზრდა, ახალი სახეებით არის დაკომპლექტებული, რაც ამომრჩეველს იზიდავს.

— რამდენად სწორი იყო ცესკოს გადაწყვეტილება ზოგიერთი პარტიისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ?

— ეს იურიდიული საკითხია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით გაუგებარია, რატომ ეთქვათ მათ უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. რადგან თუ ქართულ პოლიტიკას რამე უჭირს, ეს პოლიტიკაში გამოუცდელობა და უცოდინრობაა, ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსები, როგორებიც თოფაძე და მისი პარტნიორები არიან, პარლამენტის გარეთ რომ რჩებიან, სწორად არ მიმაჩნია.

— მოსალოდნელია თუ არა პროვოკაციები პარტიების მხრიდან?

— პროვოკაციები მხოლოდ ერთი პარტიიდან — „ნაციონალური მოძრაობიდან“ არის მოსალოდნელი. ასევე გამორიცხული არ არის, გარკვეული სირთულეები „ლეიბორისტებმაც“ შეექმნათ, რადგან ამ პარტიებს პირობა აქვთ დადებული, რომ თუ არ მოგვეწონება არჩევნების შედეგები, გავაპროტესტებთ და ჩვენს ხმებს ქუჩაში დავიცავთო. ე.ი. ისინი მიმართავენ ძალისმიერ მეთოდებს, თუ ამის ძალა ეყოთ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, მათ ხალხის მხრიდან იმდენად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა არ ექნებათ, რომ ასეთი რამ მოახერხონ.

ᲐᲜᲐ ᲤᲘᲠᲐᲫᲔ

ᲠᲣᲡᲗᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲗᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲙᲝᲨᲙᲐᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲠᲣᲡᲗᲐ ოკუპანტებმა გორის რაიონის სოფელ კოშკას მცხოვრები 60 წლის ვალიკო ხიზანიშვილი დააკავეს. საქართველოს მოქალაქე ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით არის დაკავებული და ცხინვალის იზოლატორშია გადაყვანილი.

გატაცებულის მეუღლის ქეთი უტერაშვილის განცხადებით, ოჯახს ჯარიმის თაობაზე ჯერ არავინ დაკავშირებია.

მისი თქმით, ხიზანიშვილი პირუტყვს სოფლის განაპირა მდებარე საძოვარზე მწყემსავს, იქ, სადაც ამას ხშირად აკეთებდა.

ვინ შექმნის სამუშაო ადგილებს?!

ორი პარტია და გულუხვად გაცემული დაპირებები სამუშაო ადგილების შექნასთან დაკავშირებით - რომელი იქნება მათ შორის პოპულისტური, ამას მომავალი გვიჩვენებს. თუმცა ექსპერტები უკვე საუბრობენ, რომ ნაცმოძრაობის დაპირებები ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად იძლევა, რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ სამუშაო ადგილების შექმნის გამოცდილება არა აქვს.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ბიძინა ივანიშვილი ამაყობს, რომ მათი მოსვლის შემდეგ 60-65 ათასით გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა და არც იმას ივიწყებს, რომ „ნაცმოძრაობის“ დროს ეს ადგილები 23 ათასით შემცირდა.

ბიძინა ივანიშვილზე უფრო შორს მიდიან მის მიერ დატოვებული გუნდის წევრები. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი კახა კუჭავა აცხადებს, რომ „ოცნების“ გათვლებით, 2020 წლისთვის დამატებით კიდევ 120 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

კუჭავას თქმით, მმართველი გუნდისთვის ამ პრობლემის გამკლავება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და, თუკი სტატისტიკურად 2004-2012 წლებში უმუშევრობის შემცირება ძირითადად სახელმწიფო სექტორში დასაქმებული მოქალაქეების ხარჯზე მოხდა, „ქართულმა ოცნებამ“ უმუშევრობის დონე 12.5 %-მდე შეამცირა.

განხორციელებადია თუ არა „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნების“ დაპირებები სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით?

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ანალიტიკოსი ანდრია გვიდიანი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ **„ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაცემული დაპირება პოპულისტურია.** საუბარია იმაზე, თითქოს ნაციონალების არჩევის შემთხვევაში პირველსავე წელს 45 ათასი, ხოლო ყოველ მომდევნო წელს 30 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

„135 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა ტყუილ დაპირებად მიმაჩნია. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სამუშაო ადგილები 1 მილიონ 814 ათასიდან 1 მილიონ 724 ათასამდე შემცირდა. შესაბამისად, ნაციონალების ცხრაწლიანი მმართველობისას სამუშაო ადგილების რაოდენობამ 90 ათასით იკლო. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, პროცენტულ გამოხატულებაში, 2003 წელს ქვეყანაში უმუშევრობის დონე 11,5% იყო, ხოლო 2012 წელს უმუშევრობამ 15% შეადგინა. ამდენად, აბსოლუტურად გაუგებარია, აღნიშნული პარტიის დაპირებებში რა იწვევს მსგავსი ოპტიმიზმის საფუძველს. „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს სამუშაო ადგილების შექმნის გამოცდილება“, — აღნიშნა ანდრია გვიდიანმა და განმარტა, რომ, მართალია, „ნაციონალური მოძრაობა“ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გარკვეული საგადასახადო რეფორმების შედეგად ვარაუდობს, მაგრამ ლიბერალური საგადასახადო სისტემა ბევრ ქვეყანაში მოქმედებს და პრაქტიკა აჩვენებს, რომ გადასახადების შემცირებას დასაქმების კუთხით ასეთი ეფექტი არა აქვს.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ანდრია გვიდიანი აცხადებს, რომ უჭირს საუბარი ერთი კონკრეტული წარმომადგენლის -კახა კუჭავას დაპირებაზე 2020 წლისთვის დამატებითი 120 ათასი სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ, რადგან მას არ უნახავს „ქართული ოცნების“ ოფიციალური დოკუმენტი, საარჩევნო პროგრამა სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით. თუმცა, ამის მიუხედავად, ანალიტიკოსი თვლის, რომ **დასაქმების შესახებ „ქართული ოცნების“ დაპირებები უფრო რეალისტურია.** მით უმეტეს, რომ „ოცნებამ“ ოთხ წელიწადში 55 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა და მას ამის გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, ანდრია გვიდიანი იხსენებს პრემიერ-მინისტრის დაპირებასაც, რომელმაც ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი დააანონსა და ლოგიკურად თვლის, რომ ამ გუნდმა ბევრი სამუშაო ადგილი შექმნას.

„მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ეს 55 ათასი ადამიანი კერძო სექტორშია დასაქმებული და არა სახელმწიფოში“, — აცხადებს ანდრია გვიდიანი.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკელი ნოდარ ებანოიძე For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ ნაციონალების დაპირებების შესახებ ზოგადი წარმოდგენა აქვს, თუმცა ანალიზი სჭირდება, რას ეფუძნება მათი გათვლები სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ნოდარ ებანოიძის თქმით, ჯერჯერობით მათ საარჩევნო პროგრამა არ გამოუქვეყნებიათ. ამიტომ მხოლოდ ციფრებით საუბარი, რომ 2020 წლისთვის 120 ათას სამუშაო ადგილს შექმნიან, საუბარი რთულია.

„რა რეფორმას აპირებს „ოცნება“, უცნობია. მე წარმოვადგენ რესპუბლიკელებს და უკეთესად ვიცი ამ პარტიის საარჩევნო ხედვებისა და დამატებით სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ.

ჩვენ გვაქვს გარკვეული შეთავაზებები, რომლებიც ეხება სტარტაპების დაფინანსებას, დამწყები ბიზნესის წახალისებას. გვაქვს 20-მილიონიანი დაფინანსება ახალი დამწყები ინვესტიციებისთვის, ოღონდ სულ სხვა ფორმულით და არა იმ ფორმულით, რაც ახლა აქვთ ეკონომიკის სამინისტროში. ასევე, ვგეგმავთ 200 მილიონის მობილიზებას ბიუჯეტში, რომელიც დაკავშირებული იქნება ბიზნესის განვითარებასთან. გარდა ამისა, ვთავაზობთ გარკვეულ საგადასახადო რეფორმას, დიფერენცირებულ მიდგომას, რის შემდეგაც თანაბრად არ დაიბეგრებიან, როგორც ახლა ხდება. ჩვენს მიერ შეთავაზებული მოგების გადასახადის მოდელის ცვლილება კი წაახალისებს ბიზნესს.

ჩვენი გათვლებით, დამწყები ბიზნესის წახალისებით დაახლოებით 15 ათასი სამუშაო ადგილის შექმნაა შესაძლებელი. ასევე, ბიზნესის გაფართოების კუთხით დამატებით შეიძლება 60 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნას. ამ ორი მიმართულებით წელიწადში შესაძლოა 75 ათასი დამატებითი სამუშაო ადგილი მივიღოთ“, — გვითხრა ნოდარ ებანოიძემ.

მანანა ნოზაძე

მაჟორიტარი დეპუტატი სვანეთს სტუმრობდა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოჩა ენუქიძე მესტიის 12 სოფლის, მათ შორის უშგულის, იფარისა და წვირმის მოსახლეობას შეხვდა.

გოჩა ენუქიძემ მიმდინარე პროექტებსა და „ქართული ოცნების“ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

„ჩვენთვის უმთავრესი თქვენი, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები და საჭიროებებია. ჩემთვის მიუღებელია ყალბი დაპირებები! რეფორმები და ცვლილებები, რომელიც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი ძალისხმევით მიიღწევა, თითოეული ოჯახისათვის დიდი წარმატება და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ინფრასტრუქტურული პროექტები გავრცელდება მთელს რეგიონში, ძირითადი პრიორიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება იქნება“, — განაცხადა მაჟორიტარობის კანდიდატმა.

გოჩა ენუქიძემ ადგილობრივი მოსახლეობის საჭირბოროტო და სასწრაფოდ მოსაგვარებელი საკითხები ჩაინიშნა, რათა მიმდინარე საარჩევნო პროცესის დასრულებისთანავე პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივებით წარსდგეს.

დაიწყო დუისი-ჯოყოლოს გზის მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, შ.პ.ს. „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ პანკისის ხეობაში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-ბაწარას ნაკრძალის საავტომობილო გზის კმ15-კმ19-ზე (სოფლები დუისი და ჯოყოლო) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.

არსებული გზა იწვევს ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას და საფრთხეს უქმნის ფეხით მოსიარულეებს, რადგან ამ სოფლებში არ არსებობს ტროტუარები და საფეხმავლო ბილიკები. განხორციელებული სამუშოების შედეგად, გზაზე გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

პროექტის მიხედვით, გზის ის მონაკვეთები, რომლის სავალი ნაწილის სიგანე 4,5 მეტრია, 6 მეტრამდე გაფართოვდება; გზის გასწვრივ ორივე მხარეს ძირითადად დასახლებულ მონაკვეთზე მოეწყობა რკინა-ბეტონის კიუვეტები; ეზოების და ორგანიზაციების შესასვლელები და მიერთებების გარკვეული მონაკვეთები დაიფარება ასფალტ-ბეტონის საფარით; გზის მთლიან მონაკვეთზე, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ფეხით მავალთათვის მოასფალტებული ბილიკი მოეწყობა; გზაზე მოინიშნება სავალი ნაწილი, დამონტაჟდება შუა საგზაო ნიშნები, მიმმართველი ბოძკინტები და ლითონის მრუდეხაზოვანი ძელები.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 1 507 770 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე, სამუშაოებზე 15 ადამიანია დასაქმებული.

რატომ არ შემოვიდა წელს საქართველოში საკრუიზო გემები?

მიმდინარე წელს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში არც ერთი საკრუიზო ხომალდი არ შესულა. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2015 წელს ბათუმის პორტში 11 საკრუიზო ხომალდი შევიდა, რომელმაც საქართველოს შავი ზღვისპირეთში 4 ათას 551 ტურისტი შეიყვანა. ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ყველაზე მეტი საკრუიზო ხომალდი ბათუმის პორტში 2014 წელს შევიდა. საუბარია 33 საკრუიზო ხომალდსა და 14 ათას 793 ტურისტზე.

2016 წელს ბათუმის პორტში საკრუიზო ხომალდების არარსებობას ნაწილობრივ გეოპოლიტიკურ მოვლენებს უკავშირებენ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში. მათი ინფორმაციით, აჭარაში საკრუიზო ტურიზმის განვითარებისთვის სახელმწიფო სტრუქტურებიგან დამოუკიდებელი რიგი საკითხებია მოსაწესრიგებელი, მათ შორისაა ბათუმის პორტის რეაბილიტაცია.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში განმარტავენ, რომ საკრუიზო ტურიზმი საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

აჭარაში საკრუიზო გემები ძირითადად, თურქეთისა და ყირიმის გავლით შემოდიან, წელს კი ტურიზმის ამ მიმართულებას პრობლემები შეექმნა აღნიშნულ რეგიონებში იქ არსებული დაძაბული საომარი და პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ამან კი თავის მხრივ გადამწყვეტი როლი ითამაშა აჭარაში საკრუიზო გემების შემოსვლაზე“, — განმარტავენ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში.

დეპარტამენტში აცხადებენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურები ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებენ, რაც შედეგს უახლოეს მომავალში გამოიღებს.

აღსანიშნავია, რომ 12-14 სექტემბერს, საერთაშორისო საზღვაო ფორუმს აჭარა მასპინძლობს. ფორუმზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის პატრონაჟით ჩატარდება, ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი საკრუიზო ტურიზმი, არსებული გამოწვევები და მათი მოგვარების გზები იქნება.

საკრუიზო ტურიზმის სტატისტიკა 2012 — 2015 წწ.

2012 წ. — 10 საკრუიზო ხომალდი: 3,632 ტურისტი.

2013 წ. — 16 საკრუიზო ხომალდი: 5,162 ტურისტი.

2014 წ. — 33 საკრუიზო ხომალდი: 14,793 ტურისტი.

2015 წ. — 11 საკრუიზო ხომალდი: 4,551 ტურისტი.

◎ წინ, საქართველო!

პირველი მედალი, ისიც ოქროსი

რიო დე ჟანეიროში დაიწყო პარალიმპური თამაშები, რომელშიც ქართველთაგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხუთი სპორტსმენი მოსინჯავს ძალებს. ერთმა მათგანმა უკვე ისახელა თავი: ძიუდოისტი ზვიად გოგოჭური 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იგი მეორე ნომრად იყო განთესილი და მეორე წრეში არგენტინელ ხორხე ლენსინას 1.37 წუთში წმინდად მოუგო, ნახევარფინალში ამერიკელი დარტანიონ კროკეტის დასამარცხებლად წუთნახევარი იკმარა, ფინალში კი უკრაინელი ოლექსანდრ ნაზარენკო გაფრთხილებებით მოახსნევინა. პარალიმპურ თამაშებში ჩვენები მესამედ (2008, 2012, 2016) მონაწილეობენ და პირველი მედალი მოიპოვეს, თანაც ოქროსი, რაც ორმაგად სასიხარულოა.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

ორ-ორი მოგება და თითო მარცხი

გასულ უქმეებზე ბაქოში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე სამი ტურის შეხვედრები გაიმართა. მეშვიდე ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები ჰოლანდიის გუნდთან დამარცხდა. ნიდერლანდებში გათხოვილმა თეა ლანჩავამ მესამე დაფაზე ბელა ხოტენაშვილს აჯობა და ჰოლანდიის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა — 2,5:1,5. დანარჩენ ორთაბრძოლებში დაზავდნენ ჯაოფინ პენგი-ნანა ძაგნიძე, ანე ჰაასტი — ლელა ჯავახიშვილი, ანა-მაია კაზარიანი — სალომე მელია.

მე-8 ტურში ჩვენებმა არგენტინელებს სძლიეს: ნანა ძაგნიძე — კაროლინა ლიხანი 0.5:0.5, ლელა ჯავახიშვილი — მარისა ზურელი 0.5:0.5, ბელა ხოტენაშვილი — მარია ფერნანდესი 1:0, ნინო ბაციაშვილი — აილენ მარტინესი 1:0. იმავე დღეს ამერიკელებმა რუსებს მოუგეს 2.5:1.5, პოლონელებმა — ჰოლანდიელებს 2.5:1.5, ჩინელებმა მასპინძელთა პირველი ნაკრები დაჯაბნეს — 3.5:0.5, ხოლო უნგრელები და უკრაინელები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს 2:2.

მე-9 ტურში ჩვენმა ქალთა ნაკრებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — თურქმენეთი დაამარცხა — 3:1: ნანა ძაგნიძე — მაჰრი გელდიევა 0.5:0.5, ჯამალ ოვეზდურდიევა — ლელა ჯავახიშვილი 0.5:0.5, ბელა ხოტენაშვილი — გოზალ ატაბაიევა 1:0, ბაჰარ ჰალაევა — ნინო ბაციაშვილი 0:1. ლიდერთა დანარჩენი შეხვედრები: აშშ — ჩინეთი 1.5:2.5, ისრაელი — პოლონეთი 0.5:3.5, ვიეტნამი — რუსეთი 1.5:2.5, უკრაინა — აზერბაიჯანი (1) 3.5:0.5, ინდოეთი — ჰოლანდია 3:1. **ცხრა ტურის შემდეგ:** ჩინეთი — 16 (26), პოლონეთი — 15 (28), უკრაინა — 14 (25.5), რუსეთი — 14 (25), ინდოეთი — 14 (24), აშშ-14 (23). შვიდ გუნდს, მათ შორის — საქართველოს (26), 13-13 ქულა აქვს.

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟებმაც სამი მატჩიდან ორი მოიგეს და ერთი დათმეს: **მე-7 ტურში** რუმინეთს აჯობეს — 3:1. ჯობავამ კონსტანტინ ლუპულესკუს თეთრი ფიგურებით მოუგო, ლევან ფანცულაიამ ბოგდან-დანიელ დიასი დაამარცხა, მიხეილ მჭედლიშვილი და თამაზ გელაშვილი, შესაბამისად, ემილიან — მირჩეა პარლიგრასა და ვლად — კრისტიან ჯიანუს დაუზავდნენ. **მე-8 ტური.** საქართველო — უკრაინა 1:3. ჯობავა — რუსლან პონომარიოვი 1:0. ლიდერს მხარი ვერ აუბეს თანაგუნდელებმა — მჭედლიშვილმა, ფანცულაიამ და გელაშვილმა, რომლებმაც თავიანთი პარტიები იური კრივორუჩკოსთან, ანტონ კორობოვსა და ანდრეი ვოლოკიტინთან დათმეს.

მე-9 ტური. საქართველო-უნგრეთი — 2.5:1.5 (რიჩარდ რაპორტი — ბაადურ ჯობავა 0:1, მიხეილ მჭედლიშვილი — ფერენც ბერკეში — 1:0, ზოლტან ალმაში-თამაზ გელაშვილი 1:0, თორნიკე სანიკიძე — საბა ბალოდი 0.5:0.5). უკრაინა — ინდოეთი 2.5:1.5, აშშ — ნორვეგია 3:1, ირანი — ინგლისი 2:2, აზერბაიჯანი (1) — რუსეთი 1:3, ლატვია — სლოვენია 2:2, ჰოლანდია — ჩეხეთი 1.5:2.5.

ცხრა ტურის შემდეგ: აშშ — 16 (26.5), უკრაინა — 16 (24.5), რუსეთი — 15 (27), საქართველო — 14 (23.5), ჩეხეთი — 14 (22), ინდოეთი — 14 (23.5). 14 გუნდს 13-13 ქულა აქვს.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

მოვუფრთხილდეთ ქომაგებს!

რამდენჯერ გვითქვამს და დაგვიწერია: ვიდრე საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს, მეტადრე სპორტის სათამაშო სახეობების გუნდებს (იგივე — კლუბებს) ფსიქოლოგები არ ეყოლებათ, მხოლოდ ლოკალურ, გნებავთ — ერთჯერად წარმატებებს თუ მივაღწევთ-თქო. თუმცა, ხომ გაგიგონიათ — წერეთ და იკითხეთო ანუ არავითარი გამოხმაურება ზემდგომთაგან: არსაიდან ხმა, არსით ძახილი.

აღნიშნული პროფესიის ღირსეულ წარმომადგენლებს რომ სოლიდური წვლილის შეტანა შეუძლიათ თანამემამულეთათვის ფსიქოლოგიური წნეხის მოხსნასა და გულშემატკივართა გახარებაში, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ტირანაში „ევრობასკეტ — 2017“-ის საკვალიფიკაციო რაუნდის ეგიდით გამართულმა ჯგუფური ტურნირის მეორე წრის სასტარტო შეხვედრამ, სადაც „ჯვაროსნებმა“, პირველი მატჩისგან განსხვავებით, კარგა გვარიანად გვანერვიულეს და ჩვენი კვარტეტის გამოკვეთილ აუტსაიდერთან, ანუ იმ მეტოქესთან, რომელიც ათიოდე დღის წინათ თბილისიდან 39(!)-ქულიანი დეფიციტით გავისტუმრეთ, ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ხასიათის ტაიმი შემოგვთავაზეს, რასაც თამაშის ოქმიც მოწმობს.

ალბანეთი — საქართველო 64:84
(პირველი ტაიმი 36:36)

ყველაზე უფრო იმან გაგვაკვირვა, რომ პარტნიორთა შორის განსაკუთრებით ნბა-ში გამობრძმედილი ზაზა ფაჩულია ნერვიულობდა, რომელმაც დებიუტშივე მოასწრო ზედიზედ ორი პერსონალური შენიშვნის მიღება და კარგახნით გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე.

ციდან ვარსკვლავებს არც ილიას ზუროსის დანარჩენი შეგირდები წყვეტდნენ, მაგრამ, ბედად, შესანიშნავად ჩაერთო ბრძოლაში მონტენეგროელებთან დრამატულ დუელში დათმობილი პაექრობის გმირის შემცვლელი გიორგი შერმადინი, რომლის ძალისხმევითაც შესაშური ჟინით მოასპარეზე მასპინძლებს „გაქცევის“ საშუალება არ მივეცით და შესვენებაზე მოულოდნელი ზავით გავედით, რაც, მეტოქის კლასის (უფრო სწორად — უკლასობის) გათვალისწინებით, ჩამოურეცხავ ლაქად გაგვყვება.

ეტყობა, გასახდელში ჩვენებურთა ბერძენმა თავკაცმა უშუალო მოვალეობასთან ერთად, მეტ-ნაკლებად, სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციებიც შეითავსა, რამაც ნაყოფი სარბიელზე თორნიკე შენგელიას გამოჩენის შემდეგ მოისხა. მართალია, ცინცაძე, სანიკიძე და კომპანია მეორე ტაიმშიც ბევრს სცოდავდა, მაგრამ სტუმართა დაწყნარებული კაპიტნის შეჩერება ბალკანელთა ისედაც მწირ შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატებოდა.

მოკლედ, დავითისა და გოლიათის უთანასწორო ბრძოლაში კოკამ წყალი ამჯერად, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიტანა, მაგრამ რა მოხდება კერკეტ კაკალთა, ან, მით უმეტეს, ფავორიტთა წინააღმდეგ, დაგვეთანხმებით, ადვილად სავარაუდოა.

ხვალ 19 საათზე დედაქალაქის სპორტის სასახლეში სლოვაკებს დავუხვდებით, რომლებსაც ბრატისლავაში დაუვიწყარი გაკვეთილი ჩავუტარეთ. ვიმედოვნებთ, ბიჭები მორიგი საინფარქტო სანახაობით აღარ დატვირთავენ მრავალრიცხოვან ქომაგებს.

სლოვაკეთი — მონტენეგრო 62:99.

F ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა ოთხი ტურის შემდეგ: მონტენეგრო — 4, საქართველო — 3, სლოვაკეთი — 1, ალბანეთი — 0 მოგება.

ხვალვე ითამაშებენ: მონტენეგრო — ალბანეთი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ძალოსნობა

„ვერცხლის“ დებიუტი

პოლონურ ნოვი ტომისლში დაიწყო 15 და 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობა. ჩვენებურთაგან ფიცარნაგზე პირველი გავიდა გურამ გიორბელიძე (56 კგ), რომელმაც 17-წლამდელებში საქართველოს 3 მედალი მოუტანა. ჩვენმა ძალოსანმა ექვსივე ცდა გამოიყენა: აიტაცა 92 კილო და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო აკვრასა (117 კგ) და ორჭიდში (209 კგ) ვერცხლის მედლები ერგო. გიორბელიძე მხოლოდ თურქ ჩანერ თოფთაშს (223-99+124) ჩამორჩა.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ვავრინკა US OPEN-ის გამარჯვებულია

შვეიცარიელმა სტანისლას ვავრინკამ კარიერაში პირველად ამერიკის ღია პირველობა მოიგო, სტენმა ფინალში მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:7, 6:4, 7:5, 6:3 დაამარცხა. ვავრინკამ დიდი სლემის მესამე ტურნირში გაიმარჯვა. შეხვედრა 3 საათი და 57 წუთი გაგრძელდა. პირველი სეტი ნოვაკმა ტაი-ბრეიკზე 7:1 მარტივად მოიგო, რის შემდეგაც რთული წარმოსადგენი იყო, რომ შვეიცარიელი ზედიზედ სამი პარტიის აღებას მოახერხებდა. მეორე სეტში სტანისლასი 5:4-ზე ბრეიკს აკეთებს და პარტიებში ანგარიშს ათანაბრებს, დანარჩენ ორ სეტში კი ჯოკოვიჩი თავის თავს აღარ ჰგავდა — ვავრინკა გადამწყვეტ მომენტებში იუველირის სიზუსტის დარტყმებს ასრულებდა.

ვავრინკამ კარიერაში მე-15 ტიტული მოიპოვა. სტენმა ამ გამარჯვებით 2000 სარეიტინგო ქულა და 3.5 მილიონი ამერიკული დოლარი მოიპოვა.

ქალთა ტურნირის ფინალში გერმანელმა ანჟელიკ კერბერმა სამ სეტში სძლია ჩეხ კაროლინა პლიშკოვას.

გიორგი ზოთაძე

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი

კრედიტის №5078- GE; სესხის №8143-GE

პროექტის N P122204

დავალების სახელწოდება: იმერეთის, გურიის, სამეგრელო – ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება

კონტრაქტი/ RFP # SLRPII/CS/CQS-04

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების ("მომსახურება") გასაწევად: **„იმერეთის, გურიის, სამეგრელო – ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება“**.

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 90 დღე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – 'მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შერჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში.

კონსულტანტის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს საგზაო პროექტების პროექტირების გამოცდილება, მათ შორის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე საგზაო უსაფრთხოების ინპექტირების და ანალიზის ჩატარების გამოცდილება.

მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:

- ზოგადი გამოცდილება დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2011 წლის 1 იანვრიდან);
- სპეციფიური გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურისთვის დეტალური პროექტის მომზადების გამოცდილება, რომელიც მოიცავს საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებს ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2011 წლის 1 იანვრიდან);

შეფასების პროცესში ჩაითვლება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებები.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2016 წლის 27 სექტემბრის, 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე

პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)

Credit No. 5078-GE; **Loan No.** 8143-GE

Project No. P122204

Assignment Title: The Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Small - Scale Road Safety Improvements in Imereti, Guria, Samegrelo - Zemo Svaneti and Kvemo Kartli Regions

Contract/RFP No: SLRPII/CS/CQS-04

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Second Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: **"The Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Small - Scale Road Safety Improvements in Imereti, Guria, Samegrelo - Zemo Svaneti and Kvemo Kartli Regions".**

Estimated duration of assignment is **90 days.**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the **"Consultant's Qualification Selection"** procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Required Qualification of the Consultant:

The Consultant must have experience in designing of roads projects, including preparation of Bidding Documents, as well as in conducting road safety inspection and analysis.

Shortlisting criteria:

- General experience in preparation of detailed designs and bidding documents over the last 5 years (starting January 01, 2011);
- Similar experience i.e. experience in preparation of road infrastructure detailed designs that include road safety measures over the last 5 years (starting January 01, 2011);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **September 27, 2016, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze

Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

ნოვატორი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი

პროფესორ იაშა (იაკობ) მესხიას გამოსათხოვარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 69 წლის ასაკში გარდაიცვალა **იაშა (იაკობ) მესხია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ქართველ საზოგადოებას ქვეყნის განვითარების უაღრესად საპასუხიმგებლო ეტაპზე გამოაკლდა დიდი მამულიშვილი, ნოვატორი მეცნიერი, მაღალი კომპეტენციის მოღვაწე, თვალსაჩინო პედაგოგი, სიკეთით, ადამიანებზე ზრუნვით გამორჩეული მეგობარი, ეროვნული ტრადიციების ერთგული და დიდი ქომაგი.

ბატონი იაშას ცხოვრება რთული და წინააღმდეგობრივი იყო. იგი მეცნიერების წიაღში აღიზარდა და გაიარა მეცნიერული საქმიანობის თითქმის ყველა საფეხური – იყო წარჩინებული სტუდენტი, გამორჩეული ასპირანტი, დოქტორანტი.

იაშა მესხიამ საქმიანობა დაიწყო უმცროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე და წლების მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ განვლო გზა – თითქმის ყველა საფეხური საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტამდე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ ეკონომიკურმა მეცნიერებამ, არამედ, მთლიანად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ დაკარგა უნიჭიერესი მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც თავისი ანალიზითა და პროგნოზებით ხშირად დროს უსწრებდა ხოლმე, კარგად იცნობდა ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, ქვეყნის განვითარების პრობლემებს, ხედავდა მათი გადაწყვეტის გზებს, ფორმებსა და მიმართულებებს.

ბატონი იაშას მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა, მსოფლიოში აღიარებულმა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ეკონომიკურ-მათემატიკურმა ინსტიტუტმა, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სწორედ დასახელებულ სამეცნიერო დაწესებულებებში დაამთავრა ასპირანტურა და დოქტორანტურა, დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მის მეცნიერად ფორმირებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებს, მის მასწავლებლებს: ნობელის პრემიის ლაურეატს **ლეონიდ კანტოროვიჩს,** აკადემიკოსებს: **სტანისლავ შატალინს, აბელ აგანბეგიანს, ნიკოლოზ ფედორენკოს** და სხვებს.

ბატონმა იაშამ სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკად და წლების მანძილზე იყო ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, განყოფილების გამგე და დირექტორი.

იგი 1985 წელს ინიშნება სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის აღრიცხვის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ეკონომიკისა და ფინანსთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ფინანსთა და სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელად. აღნიშნულ თანამდებობებზე წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა მისი აქტიური ჩართვა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პრობლემების დამუშავებასა და გადაწყვეტაში. იაშა მესხიას მეცნიერული შრომების დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნულ თემატიკას ეძღვნება. ამ პერიოდში მკაფიოდ და მასშტაბურად გამოვლინდა მისი უნიკალური ორგანიზატორული თვისებები, სამეცნიერო პოტენციალის მობილიზების უნარი, პრობლემების ფართო ხედვა, მეცნიერულ ლოგიკაზე დაფუძნებული მიდგომების მასშტაბები, რთულ საზოგადოებრივ პროცესებში ღრმად წვდომის ნიჭი. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა – საზოგადოებამ იგი ფართო ერუდიციის, ნოვატორული მიდგომებით გამორჩეულ მეცნიერ-მკვლევარად აღიარა. გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004), ამასთან, ორჯერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით (2001 და 2014).

მას გამოქვეყნებული აქვს 400-მდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხო ენებზე. მათ შორის, 35 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. იგი მონაწილეობდა 40-ზე მეტ ადგილობრივ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში (მათ შორის, ესპანეთში, თურქეთში, პოლონეთში, გერმანიაში და ა.შ.).

სხვადასხვა წლებში **იაშა მესხია** იყო საქართველოში გამომავალი თითქმის ყველა სამეცნიერო და ორი უცხოური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების წევრი. მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცემოდა ჟურნალები: **„გადასახადები“** და **„ფინანსური კონტროლი“**, ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ **„ბიზნესი და კანონმდებლობის“** სამეცნიერო საბჭოს.

იგი სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის პროცესში ახალგაზრდობიდან ჩაერთო – ლექციებს კითხულობდა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. იყო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტისა და თბილისის საფინანსო-ეკონომიკური აკადემიის რექტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის კათედრის გამგე. უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრას. პედაგოგიურ სამუშაოზე გამოავლინა ლექტორის, აღმზრდელის საუკეთესო თვისებები: ღრმა ცოდნა, გამჭრიახობა, კომუნიკაციის უნარი, დამაჯერებლობა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ბატონი იაშა სტუდენტ ახალგაზრდობაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ღრმა ცოდნის, კრეატიული აზროვნების წყალობით მუდამ ავლენდა დროის გამოწვევებით განპირობებულ სიტუაციებში ადეკვატური მოქმედების უნარს. თავისი ცხოვრების წესით ყოველთვის დროის მოთხოვნების დონეზე იყო. ეს კარგად გამოჩნდა უაღრესად რთულ სიტუაციაში სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლში – კონტროლის პალატის ხელმძღვანელად მუშაობისას. განსაკუთრებით აქ გამოვლინდა მისი პრინციპულობა, საქვეყნო საქმისადმი ერთგულება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის სულისკვეთება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ყოველმხრივ დაცვის უნარი – მან მუშაობის საკუთარი სტილით დაადასტურა, რომ დიდი ერუდიციის მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

მაღალი ნიჭი, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა საქმიანობის ყველა ეტაპზე და სიტუაციაში, ადამიანებზე ზრუნვის მომადლებული უნარი, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება ერთ მთლიანობაში აყალიბებდა მის პიროვნულ მომხიბვლელობას, რაც საზოგადოებაში უქმნიდა ლიდერის იმიჯს. იაშა მესხია ნდობის კაცი იყო!

გვჯერა, რომ იაშა მესხიასნაირ პიროვნებას ქვეყანა არ დაივიწყებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის და ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ყოფილი დირექტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, თსუ კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იაშა მესხია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მეცნიერების დარგში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, დიდი ორგანიზატორის, უდიდესი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ყველას გვერდში მდგომი და ახალგაზრდობის ღირსეული აღმზრდელის, აკადემიკოს

იაშა (იაკობ) მესხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს, პროფესორ ლია ელიავას, ახლობლებს და მეგობრებს.

აკადემიის სახელით, აკადემიის პრეზიდენტი: **თეიმურაზ ბაბუნაშვილი,** ვიცე-პრეზიდენტი **ნოდარ ჭითანავა,** სწავლული მდივანი **თამაზ დანელია,** აკადემიკოსები **ანზორ აბრალავა, ელდარ ამაშუკელი, გიორგი ბაბუნაშვილი, ნიკოლოზ ბაკაშვილი, თამაზ ბაძრაძე, ბადრი გეჩბაია, ნარგიზი გვალია, ლუარა გვაჯაია, ნაირა გალახვანიძე, მერაბ გველესიანი, რევაზ გოგოხია, ვახტანგ დათაშვილი, არჩილ ვაშაკიძე, მერაბ ზედგინიძე, ჯემალ კახნიაშვილი, დავით კბილაძე, რომან კუჭუხიძე, გულთაზ ლაბარტყავა, პარმენ ლემონჯავა, გიორგი მალაშხია, ნუგზარ ნადარაია, გაიოზ ნადირაშვილი, ნუგზარ პაიჭაძე, ხიმური რუხაია, გიორგი გახოკია, ლეონიდ ძარჩავა, გელა ყიფიანი, გურამ ყუფუნია, პავლე ჩაგელიშვილი, სოსო ძველაძე, თამია ჭუმბურიძე, ჯემალ ხარებავა, იოსებ ხელაშვილი, რევაზ ჯავახიშვილი, ჯემალ ჯინჯოლავა, გურამ ჯოლია.**

ნოდარ ჭითანავა ოჯახით უდიდესი გულისტკივილით იუწყება გამოჩენილი მეცნიერის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, მეგობრისა და კოლეგის

იაკობ (იაშა) მესხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს, პროფესორ ლია ელიავას და ახლობლებს.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება დიდი მეცნიერის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის გამგის, გამორჩეული პიროვნებისა და ერთგული კოლეგის

იაკობ (იაშა) მესხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მეუღლეს, პროფესორ ლია ელიავას, ახლობლებს და მეგობრებს.

გიორგი ჩიქავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი და გამორჩეული პიროვნება, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

იაშა მესხია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე

იაკობ მესხია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ ღვაწლმოსილი მეცნიერის, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის და პიროვნების

იაკობ (იაშა) მესხიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ბაკურ და დავით გულუები ოჯახებით, ეკატერინე გულუა.

დავით სოსელია, თამარ თაფლაძე, მზია თოდუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ეკონომისტი, ღირსეული ქართველი, შესანიშნავი პიროვნება

იაკობ მესხია

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

კარლო წულაია, გურამ გუნავა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტის, შესანიშნავი პიროვნების

იაშა მესხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

სანთელი

ნუგზარ კვარაცხელია

აფხაზეთის საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ჭეშმარიტი პატრიოტი, მაღალი რანგის პროფესიონალი, ყოფილი აფხაზეთის კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილე, ღირსების ორდენის კავალერი **ნუგზარ კვარაცხელია**.

ნუგზარ დურუს ძე კვარაცხელია დაიბადა ქ.სოხუმში 1954 წელს. ქ.სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა მოსკოვის საკავშირო ელექტროტექნიკური ინსტიტუტი ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინრის სპეციალობით (დაუსწრებლად) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი კავშირგაბმულობის ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით.

აფხაზეთის კავშირგაბმულობის სისტემაში მუშაობა დაიწყო 1971 წელს, 18 წლის ასაკში, ზეინკლად, შემდგომ ტელეგრაფის ელექტრომონტიორად, ცვლის ინჟინრად, ტელეგრაფის უფროს ინჟინრად, ტელეგრაფის უფროსად, აფხაზეთის მაგისტრალური კვანძის უფროსად, სოხუმის სატელეფონო სადგურის უფროსად. ყველგან, სადაც კი მუშაობდა, მან დატოვა შრომისმოყვარული, ენერგიული, საქმის მცოდნე მაღალი პროფესიონალის კვალი.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში ის ბოლო წუთამდე იმყოფებოდა სოხუმში და უზრუნველყოფდა კავშირგაბმულობის გამართულ მუშაობას.

ნუგზარ კვარაცხელიას სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ მიუტოვებია თავისი პროფესიონალური საქმიანობა. დევნილობის პერიოდში მას ეკავა საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა. აქტიურად მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში. ნუგზარ კვარაცხელია გამოირჩეოდა საზოგადოებრივი აქტიურობით, ის პირველი დღიდანვე იყო ჩაბმული სახალხო დიპლომატიის მოძრაობაში, ის გახლდათ კარგი მეოჯახე, ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა და ბაბუა.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი — საკუთარ კარ-მიდამოში დაბრუნების აღუსრულებელი ოცნებით გულდაფერფლილი ღირსეული მამულიშვილი. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ღირსეული წარმომადგენელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

როსტომ თოლორდავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სს „კავკასიის განვითარების ბანკი – საქართველოს"

კრედიტორ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სს „კავკასიის განვითარების ბანკი — საქართველოს" ვალდებულებების დროული და შეუფერხებელი გასტუმრება, კრედიტორებს მოგმართავთ თხოვნით, ბანკის ლიკვიდატორს წარუდგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

ფიზიკური პირების შემთხვევაში:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. ბანკის მიმართ მოთხოვნის არსებობის დამადასტურებელი თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტაცია.

იურიდიული პირების შემთხვევაში:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ;
2. უფლებამოსილი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. ბანკის მიმართ მოთხოვნის არსებობის დამადასტურებელი თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტაცია;

უნაღდო ანგარიშსწორებით თანხების მიღების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, დამატებით წარმოადგინოთ იმ ბანკის საბანკო ანგარიში და რეკვიზიტები, სადაც გსურთ თანხის ჩარიცხვა.

პატივისცემით
ლიკვიდატორი **როინ ცაციაშვილი**

ავტომობილი მდინარეში გადავარდა

გვიან ღამით, თუშეთში, სოფელ დართლოდან ჭეშოსკენ მიმავალი გზიდან „მიცუბიში პაჯეროს" მარკის ავტომობილი მდინარე ალაზანში გადავარდა. ინფორმაციას ამის შესახებ „კახეთის საინფორმაციო ცენტრი" ავრცელებს. უბედური შემთხვევის შედეგად 21 წლის თემურ გოგოთიძე ადგილზე დაიღუპა, სამი ადამიანი კი დაშავდა. დაშავებულები ვერტმფრენით თბილისში, ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თუშეთში გამგებლის წარმომადგენლის ლადო კახოიძის ინფორმაციით, გარდაცვლილიც და დაშავებულებიც თუშები არიან.

მისივე თქმით, თუშეთში სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები ნორმალურ მდგომარეობაშია და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების მიზეზი ხშირ შემთხვევაში მძღოლების ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა ან ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობა ხდება.

,,კახეთის საინფორმაციო ცენტრის" ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევები გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ხშირია. კერძოდ, 6 აგვისტოს, თუშეთის გზაზე, თორღვას აბანოდან 4 კილომეტრში ომალოს მკვიდრი კახა ჩაგაიძე ხევში გადავარდა და დაშავდა. მძღოლი ავტომობილს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მართავდა.

2014 წლის სექტემბერში, თუშეთის გზაზე, ე.წ. „ბოთლის წყალთან" „ტოიოტას" მარკის ავტომანქანა დიდი სიმაღლიდან ხევში გადავარდა. მანქანაში 4 ადამიანი იჯდა. ოთხივე მათგანი, 21 წლის თემო ბუღრიძე, 38 წლის ბესიკ კიტოშვილი, 39 წლის თევდორე ბუღრიძე და 40 წლის რამაზ აშაძე ადგილზე დაიღუპნენ.

თუშეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი საავტომობილო გზა თელავის რაიონის სოფელ ფშაველიდან იწყება. სოფელ ომალომდე 72 კილომეტრია. სტორის ხეობიდან აბანოს უღელტეხილამდე საავტომობილო გზის დიდი ნაწილი კლდეებზეა გაჭრილი. გზა მეწყერსაშიშ ზონაშიც გადის.

კოოპერატივ „დარჩელის თხილის" გამგეობა იწვევს კოოპერატივის წევრებს საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2016 წლის 05 ოქტომბერს შემდეგ მისამართზე:

ქ. ზუგდიდი, სტალინის ქ. №3, 16:00 სთ-ზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და სებ-ის პრეზიდენტის 2016 წლის 8 სექტემბრის №80 განკარგულებისა, 2016 წლის 3 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქ. 2, ოთახი №416) ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ 2,724 კვ.მ. ფართობის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.05.007.071), მდებარე: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №7.

მიწის ნაკვეთის საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 625 000 (ექვსას ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის (აუქციონის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს" მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის № GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, ბე-ს შეტანის დღეს არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში (ს/კ 203824148, ბანკის ,,SWIFT" კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ მოხდება შეძენილი მიწის ნაკვეთის ღირებულების დაფიქსირება ეროვნულ ვალუტაში, რომლის გადახდაც სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ბე-ს შემოტანის დღეს არსებული კურსით. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე"-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი". უმცირესი ,,ბიჯი" შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და ,,ბე" არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მიწის ნაკვეთის მყიდველის სახელზე გადაფორმება მოხდება 20 დღის განმავლობაში.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე. შემოტანილი ბეს საფასურის უკან დაბრუნდება მოხდება შემოტანილი ბეს ლარების შესაბამისად.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და მიწის ნაკვეთის სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან" ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ დედაქალაქი

თბილისში ლევან გოთუას სახელობის სკვერი გაიხსნა

თბილისში კიდევ ერთი კომფორტული დასასვენებელი ადგილი – ლევან გოთუას სახელობის სკვერი მოეწყო. გოთუას ქუჩაზე, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სახელობის სკვერის გახსნას თბილისის მერი დავით ნარმანია, მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი, ლევან გოთუას ოჯახის წევრები და ახლობლები, მწერლები და მერიის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

დავით ნარმანიამ შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ადგილობრივ მოსახლეობას აქტიურობისთვის მადლობა გადაუხადა.

„ამ ადგილზე ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები და მოეწყო სივრცე, სადაც ყველა ასაკის და კატეგორიის ადამიანს შეუძლია გაერთოს, ისეირნოს, ივარჯიშოს და, შესაბამისად, უფრო კმაყოფილი დაბრუნდეს სახლში. თანამედროვე საპარკე ავეჯის დამონტაჟებისა და გამწვანების საკმაოდ მოცულობითი სამუშაოების გარდა, სკვერში გაკეთდა სპეციალური სავარჯიშო კუთხეც, რომელიც ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და ჯანსაღი თაობის აღზრდას ემსახურება. წელს თბილისის მერიამ 10 მასშტაბური სკვერისა და მოედნის რეკონსტრუქცია განახორციელა, რაიონული გამგეობების მეშვეობით კი, თბილისის სხვადასხვა რაიონში, შედარებით მცირე ზომის სკვერები კეთილმოეწყო“ – განაცხადა დავით ნარმანიამ.

სკვერში დაიდგა მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილის ავტორობით შექმნილი მწერლის მონუმენტი, რომელიც ლევან გოთუას ოჯახმა სკვერს საჩუქრად გადასცა.

1974 წელს გაშენებული სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები დედაქალაქის მერიის ინიციატივით ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა მიმდინარე წლის ზაფხულში განახორციელა.

რეკონსტრუქციის ფარგლებში, სკვერში მოეწყო თანამედროვე საპარკე ფურნიტურა და საბავშვო მოედანი, დაიდგა კომფორტული დასასვენებელი სკამები, დამონტაჟდა დეკორატიული სანათები, მოიკირწყლა საფეხმავლო ბილიკები. სკვერის ტერიტორია სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარითა და ბუჩქით გამწვანდა. სკვერის მთელ ტერიტორიაზე მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, დამონტაჟდა სავარჯიშო ტრენაჟორები. განახლებული სკვერის გარშემო დეკორატიული ღობე მოეწყო.

სკვერის რეკონსტრუქციისთვის ბიუჯეტიდან 186 000 ლარი გამოიყო.

◎ ინტერნეტიდან

ლარისა რუსეთს უმიზნებს

როგორც იქნა, პარაგვაის ნაკრების ქომაგობით გაპოპულარულებულმა მოდელმა, მკერდმზიანმა ლარისა რიკელმემ გაიხსენა თავისი ძველი „ხელობა“ და კვლავ მიჰყო ხელი პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების შესახებ მოსაზრებების ფრქვევას, გეგმების დაწყობასა და იმედების ჩამოხვავებას.

ლარისა რიკელმემ განაცხადა, რომ მას ბოლომდე სჯერა ამ ფორმაციის პარაგვაის ეროვნული ნაკრებისა და დარწმუნებულია, რომ მისი თანამემამულე ფეხბურთელები მოახერხებენ და აუცილებლად გავლენ 2018 წელს რუსეთში გასამართ საფეხბურთო მუნდიალზე. ლარისამ ამის შესახებ ერთ-ერთ ლათინოამერიკულ ტელეშოუში განაცხადა.

რიკელმეს ქალი ტრადიციულად ეპატაჟურია და იძახის, თუკი პარაგვაელები ჩემს ამ დიდ იმედებსა და მოლოდინებს გაამართლებენ, მე მზად ვარ, გავიხსენო ძველი საქმიანობა, ჩავყვები ნაკრებს რუსეთში და თქვენ საკუთარი თვალით ნახავთ ტრიბუნაზე, რა ცეცხლსაც გავაჩაღებო.

ისე, ლარისა რუსებს ამ საქციელით დიდად ვერ გააკვირვებს (რუსებს საკუთარი მკერდის ამომყრელებიც ბლომად ჰყავთ), მით უმეტეს მის თანამემამულეებს, რომელებმაც ისედაც კარგად იციან ამ ქალის უნარების შესახებ და რა უნდა? ჩვენ, ქართველებს გვიკეთებს ამას?...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ტრაგედია

მოსკოვში მცხოვრები ქართველი სპორანო ანა ბუბაშვილი მე-12 სართულიდან გადმოვარდა

25 წლის სპორანო ანა ბუბაშვილი საცხოვრებელი კორპუსის მე-12 სართულიდან გადმოვარდა, – ინფორმაციას ამის შესახებ საოპერო მომღერალი თამარ ივერი სოციალური ქსელით ავრცელებს.

„მოსკოვში მე-12 სართულიდან გადმოვარდა. დედა სულ მასთან იყო... ცოტა ხნით თბილისში ჩამოვიდა და ბრუნდებოდა. დღეს რომ ჩავიდა, კორპუსში მივიდა ბარგით და ასეთი საზარელი სიტუაცია დახვდა. პოლიციის ლენტებით შემორაგული ეზო და ბინა. ექსპერტიზა გაარკვევს თვითმკვლელობა იყო თუ რაიმე ფაქტორის ზემოქმედება. საშინელი, ენით აუწერელი ტრაგედია მოხდა!!! 5 წლის წინათ ასევე დაკარგა 14 წლის საღსალამათი ძმა... ექსკურსიაზე გული გაუსკდა ბავშვს. რა დააშავა ამ ოჯახმა, არ ვიცი. შოკში ვართ ყველა!“, – წერს თამარ ივერი.

◎ ქალი და მამაკაცი

ცაციების „ახალი ძალა“

ბევრმა ჩვენგანმა, განსაკუთრებით პედაგოგებმა, კარგად იციან, რომ სკოლაში სწავლის დროს, შემდგომაც, გოგონებსა და ქალიშვილებს ბიჭებსა და ჭაბუკებზე სწავლასთან გაცილებით მეტი პრობლემა აქვთ. მეცნიერები აცხადებენ, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ მამაკაცებისა და ქალების წინაშე განსხვავებული გლობალური მიზნები და ამოცანებია.

მამაკაცისა და ქალის ფიზიოლოგიას შორის განსხვავებას ლოგიკური დასაბუთება აქვს. ბუნების თვალსაზრისით, ქალი – ესაა ძირითადი სქესი, ამიტომაც მას, როგორც გენოტიპის შემნახველს, გაცილებით მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს. მამაკაცი კი ექსპერიმენტული სქესია, რომელიც „საველე პირობებში“ საკუთარ თავზე ახალი ფუნდამენტური ფუნქციების გამოსაცდელად და, საგულდაგულო შემოწმების შემდეგ, მათ ქალებისთვის გადასაცემადაა საჭირო. ასე ხორციელდება ევოლუციის მთავარი პრინციპი – შეცვლა და შენახვა. ქალები ყველა უკვე არსებულ სასარგებლო თვისებას ინახავენ, მამაკაცები კი მათ გაუმჯობესებაზე მუშაობენ.

იმის გამო, რომ მამაკაცს საექსპერიმენტო სუბიექტის ურთულესი როლი აკისრია, იგი უაღრესად გონიერი და საზრიანი უნდა იყოს, ქალებს კი ველოსიპედის მოგონება არ სჭირდებათ, სამაგიეროდ მამაკაცების მიერ გამოგონილს ისინი ხვეწენ და სრულყოფენ.

ქალებს ერთფეროვანი სამუშაოსი არ ეშინიათ, მამაკაცებს კი ასეთის შესრულება უჭირთ. ქალების კიდევ ერთი დადებითი თვისებაა რეაქციის ნორმის დიდი სპექტრი. ეს იმას ნიშნავს, რომ **ქალი მამაკაცზე უფრო პლასტიურია და ვითარებას მასზე ადვილად ერგება.** ამიტომაცაა, რომ მამაკაცები ქალებზე ნაკლებს ცოცხლობენ, გაცილებით ხშირად იღუპებიან და უკიდურესობაშიც უფრო ხშირად ვარდებიან. **100 გენიოსიდან 99 მამაკაცი იქნება, სამაგიეროდ ამ „ექსპერიმენტული სქესის“ წარმომადგენლებში სრული იდიოტიც გაცილებით მეტია.**

საგულისხმოა ისიც, რომ მამაკაცებში ცაცია ხუთჯერ მეტია. სტატისტიკას დიდი ხანია, აღნუსხული აქვს, რომ **არახელსაყრელ პირობებში გაცილებით მეტი ცაცია ბავშვი იბადება, თანაც, ძირითადად, ბიჭები.** მათ გენოტიპში ახალი ძალა შემოაქვთ, ახალ ფუნქციებსა და უნარებს ამუშავებენ, რაც დანარჩენ კაცობრიობას ახალი ცხოვრების პირობების შეგუების შესაძლებლობას აძლევს.

მოამზადა

დალი ხუნდაძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3117; ევრო - 2.6046;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0755;
100 რუბლი - 3.5900; თურქული ლირა - 0.7790
აზერბაიჯანული მანათი - 1.3851;
1000 სომხური დრამი - 4.8760.

ამინდი 13 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +28
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +16,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +12,	დღე +31
თბილისი:	ღამე +18,	დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE